ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba


5 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
სტიქიური მოვლენები
10 ლარი





ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, 2013 №264 (6265) ფასი: 30 თეთრი

# კახი კახიშვილი: „ადეიშვილს საზღვარგარეთ კანონიერი ქურდები მფარველობენ“

გვ.3



## გელა ნიკოლაიშვილი: „სააკაშვილი იძულებული გახდა, ახალაია შეეწყალებინა“

გვ.5

ივანიშვილი პოლიტიკაში ისევ ჩაერევა



## „ირაკლი ღარიბაშვილის სორბონის უნივერსიტეტის დიპლომი დაიდოს!“

გვ.5

გოგა ხაჩიძე ახალ ულტიმატუმს აყენებს



## თვითმმართველობის არჩევნებისთვის არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდება

გვ.7





## კორპუსებში გაზი წყლის მილებით შეიყვანეს!

გვ.2

## სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობამ იკლო, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა იმატა

გვ.4




## ვეტერანები აქციებს იწყებენ

გვ.6



## თემურ შაშიაშვილი: „მარგველაშვილის არჩევის გამო საქართველოს შერცხვება“

გვ.4



## ვანო მერაბიშვილი: „მე ვერ შევძელი ყველაზე მთავარი — ვერ დავიცავი ქართველი პოლიციელები“

გვ.6

ISSN 1987-9385

3 მიხეილ სააკაშვილი ახალ მთავრობას და პრეზიდენტს წარმატებას უსურვებს

3 კოტე გაბაშვილი: „საქართველოს შეეძლო, სოჭის ოლიმპიადა რუსეთზე ზეწოლისთვის გამოეყენებინა“

4 პარლამენტის თბილისში გადმოტანას ნაციონალების თანხმობა სჭირდება

3 პარლამენტი თბილისში თუ გადმოვა, უკეთესად იმუშავებს?!

# კორპუსებში გაზი წყლის მილებით შეიყვანეს!

მერი ნამორაძე

ბოლო ხანებში საცხოვრებელ კორპუსებში გაზის შეყვანა ისეთი მეტალოპლასტმასის მილებით ხდება, როგორსაც უბრალო მოკვდავნი ცივი და ცხელი წყლის გაყვანილობისათვის იყენებენ. საქართველოში იმდენად უბრალო მოკვდავნი ცხოვრობენ, რომ მათ გაზის ტრანსპორტირებაც წყლისთვის გამოყენებული მილებით შესთავაზეს. როგორც ჩანს, „ყაზტრანსგაზი“ დარწმუნებულია, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, საფრთხე ამგვარად ტრანსპორტირებული გაზით არ გვემუქრება. მილები თურქული კომპანიის მიერ არის წარმოებული.

რატომ გადაწყვიტა „ყაზტრანსგაზმა“ საქართველოში ამ მილების გამოყენება, ამის გარკვევას დღემდე ცდილობს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელები“. ყველაზე საეჭვო ის არის, რომ ფრაქციამ დღემდე ვერ მიაკვლია კომპანიას, რომელმაც გასცა სერთიფიკატი „ყაზტრანსგაზისათვის“, რომ ამ ტიპის მილებით შეიძლებოდა გაზის ტრანსპორტირება. „ყაზტრანსგაზის“ მთავარი არგუმენტად ის რჩება, რომ უბედური შემთხვევა არსად მომხდარა. ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მანამდე უნდა იქნეს შესაბამისი ზომები მიღებული, ვიდრე უბედურება მოხდება.

***– ქალბატონო გულიკო, თქვენ ორიოდე თვის წინ წამოსწიეთ ეს საკითხი. რამ განაპირობა ამ თემით დაინტერესება?***

– ჩვენ მოგვმართეს დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, მოქალაქეებმა, რომ ეს თემა წამოგვეწია. გადავწყვიტეთ, მიგვემართა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსათვის. დასკვნა გაკეთებულია მათ მიერ. ასევე პასუხი ჩვენ მიერ მიწერილ წერილზე აქვს გაცემული ტექნიკურ უნივერსიტეტს. ორივე მხარე ადასტურებს, რომ პოლიეთილენის მილები, რომლის სახელობაა მეტალოპლასტიკა, ამ ნიშნით, ამ მახასიათებლებით არ გამოიყენება გაზსადენებისათვის. წყაროდ მითითებულია თვითონ ქარხანა-დამამზადებელი თურქული კომპანია „ფირატი“. გაზის კომპანიას გააჩნია ერთადერთი დოკუმენტი, ეს გახლავთ მეწარმე სუბიექტის სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია შპს „ჩარქფის“ მიერ და ამ კომპანიას ვერაფრით მივაკვლიეთ, სადაც წერია, რომ თითქოსდა ამგვარი მილების გამოყენება შეიძლება გაზის ტრანსპორტირებისათვის.



საუბარია კიდევ გადასაბამ ფიტინგებზე, რომლის გამოყენებაც უნდა გამოირიცხოს გაზის ტრანსპორტირებისას. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია ახლა დაჯდა დამამზადებლის საიტზე, აქამდე არ იყო. საქმე გვაქვს დანაშაულთან. „ყაზტრანსგაზის“ მიერ თბილისელებისათვის საფრთხის შემცველი მოქმედება მათ მიერ გამოყენებული მილსადენის გამო.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ გათამამდა ასე საქართველოში „ყაზტრანსგაზი“?***

– ეს ყველაფერი გამოიწვია ჩვენთან მოშლილმა კონტროლის მექანიზმმა ამ ტიპის საქმიანობაზე. აღარ არსებობს კონტროლი. 2012 წლამდე მოქმედებდა კონტროლის ნორმა ამ ტიპის საქმიანობაზე. ეკონომიკის სამინისტროში დღეს გვეუბნებიან, რომ არ ევალებათ ამის კონტროლი. თითქოს თვითმმართველობას ეხება. თვითმმართველობა ამბობს, რომ მათ არ ეხებათ. ამ თემებზე სერიოზულად ვიმსჯელებთ და „ყაზტრანსგაზს“ მოუწევს დაადასტუროს, რომ აბსოლუტურად უვნებელია ამ მილების გამოყენება გაზის ტრანსპორტირებისათვის და მშვიდად ვიქნებით. ჩვენ გვაქვს სერიოზული დოკუმენტები, რომლებიც სულ სხვას გვეუბნება. ამდენად, უნდა დაინტერესდნენ სხვა ორგანოებიც, თუ რასთან გვაქვს საქმე.

# თბილისის მერია გამოყოფილ თანხებს ვერ ითვისებს?!

მერი ნამორაძე



ქალაქ თბილისის მერიის ვაი-ვიში საკრებულოს მხრიდან საბიუჯეტო თანხების შემცირების შესახებ ბლეფი აღმოჩნდა. ახლა, როცა საკრებულომ მეტი თანხის გამოყოფა გადაწყვიტა, აღმოჩნდა, რომ მერია მას ვერ ითვისებს და გაზრდილ თანხაზე უარს ამბობს.

გუშინ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ნიკო ხაჩირიშვილმა მერიის მიერ თბილისის ბიუჯეტის ხარჯვის შესრულების დოკუმენტაცია წარმოადგინა და განაცხადა, რომ დღესდღეობით მერიას აქვს იმ ოდენობის თანხა, რითაც საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ბიუჯეტის ცვლილებისა და 4 მილიონი ლარით გაზრდის თაობაზე, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ხაჩირიშვილის განმარტებით, ეს მოწმობს, რომ მერიისთვის თანხების შემცირება არ განუხორციელებია და მერიის მიერ აგორებული კამპანია საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა.

– თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, თბილისის ბიუჯეტში უნდა შესულიყო ცვლილება 4 მილიონი ლარით გაზრდის თაობაზე. თუმცა, მერიის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, ისინი ვერ აითვისებენ აღნიშნულ თანხას და ამიტომ ითხოვენ მხოლოდ 3 მილიონ ლარს. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რაც არაერთხელ ვთქვით, თბილისის მერიაში არის საკმაოდ დიდი თანხა, რომელიც აუთვისებელია. თბილისის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების დოკუმენტაციით აშკარად ჩანს, რომ 14 მილიონი არის ლუფტში, ანუ ყველა ის გამოსვლა აგვისტო-სექტემბრის თვეში, რომლითაც ცხადდებოდა, რომ საკრებულომ მერიას მოაჭრა თანხები, იყო ბლეფი და საზოგადოებისა და ამხანაგობების თავმჯდომარეების შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა, – განაცხადა ნიკოლოზ ხაჩირიშვილმა.

მისი თქმით, ნოემბრის თვეში საკრებულო ამხანაგობების თავმჯდომარეების დაფინანსების იმ წესს დაამტკიცებს, რომლის მიხედვით ამ წლის მეოთხე კვარტალში ყველა აქტიური თავმჯდომარე იქნება წახალისებული.

# ირაკლი ალასანია საფრანგეთის სენატში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრებს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია საფრანგეთის რესპუბლიკაში შეხვედრებს მართავს. იგი სენატში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრებს შეხვდა. მხარეებმა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება განიხილეს. ფრანგმა სენატორებმა ქართულ დელეგაციას დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მიულოცეს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

„ფრანგ სენატორებთან შეხვედრა მნიშვნელოვანია იმით, რომ ჩვენ გვაქვს პრაქტიკულად უპირობო მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. შევხვდი საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფს და შიდა პოლიტიკური საკითხები განვიხილეთ. ყველამ მიულოცა საქართველოს ასეთი არაჩვეულებრივი, სუფთა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ვილნიუსის სამიტზე და მომავალი წლის ნატო-ს სამიტზე ჩვენ გვაქვს ფრანგი კანონმდებლების სრული მხარდაჭერა ჩვენი ინტეგრაციის გზაზე“ – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ალასანია ფრანგ კოლეგას ჟან-ივ ლე დრიანს შეხვდება. ასევე, დაგეგმილია შეხვედრები შეიარაღების გენერალურ დირექტორატში საფრანგეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტური ევროპის დეპარტამენტის დირექტორთან ერიკ ფურნიესთან.

ნიუსპრესი

# ეუთო საქართველოში წარმომადგენლობის აღდგენას გეგმავს

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობის აღდგენას გეგმავს. როგორც ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა ლამბერტო ზანიერიმ „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა, მომავალ წელს ის საქართველოში ჩასვლას აპირებს და შეხვედრებზე განსახილველი მთავარი საკითხი ორგანიზაციის წარმომადგენლობის მუშაობის განახლება იქნება. მისი თქმით, ეს ეუთო-ს რეგიონში პროექტების ეფექტურად რეალიზებაში დაეხმარება.

გენერალური მდივნის განცხადებით, ნებისმიერ გადაწყვეტილებას ეუთოს-ს უშუალოდ ადგილზე დაშვების, მანდატის და საქმიანობის არეალის შესახებ, 57 მონაწილე ქვეყანა იღებს.

ლამბერტო ზანიერის თქმით, დისკუსია მისიის ფორმატსა და მოქმედების გეოგრაფიულ-თემატურ საკითხებზე მუდმივად მიმდინარეობს.

საქართველოში ეუთო-ს წარმომადგენლობა 2009 წლის ივნისში დაიხურა. ორგანიზაციის მუდმივმოქმედმა საბჭომ საქართველოში ეუთო-ს მისიის მუშაობის აღგდენის შესახებ კონსენსუსს ვერ მიაღწია.

„ამ ეტაპზე ეუთო ცვლილებებზე მხოლოდ დაკვირვებას აწარმოებს. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლებასთან დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა, რაც დღემდე გრძელდება“ – განაცხადა გენმდივანმა

ნიუსპრესი

# გიორგი კვირიკაშვილი თბილისის მერის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის განხილვას უარყოფს



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი თბილისის მერის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის განხილვას არ ადასტურებს.

„ეს ინფორმაცია სრული აბსურდია. არანაიარი მსგავსი გეგმა არ გამაჩნია. არანაირი სურვილი ამ მიმართულებით ჩემს კარიერაზე ფიქრისა არა მაქვს. უფრო მეტსაც ვიტყვი, ეს ჩემი პროფესიონალური კარიერიდან სერიოზული გადახვევა იქნებოდა და აქედან გამომდინარე, სურვილი ამისი არანაირად არ მაქვს“ – განაცხადა კვირიკაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილი თავიდან პრემიერ-მინისტრობის ერთ-ერთ კანდიდატადაც სახელდებოდა.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მას თბილისის მერობის მისთვის სასურველი კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავს და მის ვინაობას პოლიტიკიდან წასვლამდე დაასახელებს. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილი ამ თანამდებობაზე რეგიონული განვითარების მინისტრს დავით ნარმანიას განიხილავდა, რაც ნარმანიამ უარყო. ბოლო დღეებში კი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერობის კანდიდატად გიორგი კვირიკაშვილი დასახელდება.

ნიუსპრესი

# „ნაციონალური მოძრაობის“ გორის ოფისის გაქურდვაში ეჭვმიტანილი დაკავებულია

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გიორგი პ. ქურდობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, გამთენიისას, გორში, გარსევანიშვილის ქუჩაზე მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან ტელევიზორი, ვიდეოკამერა, ლეპტოპი, სხვადასხვა დამტენი და „იუ-პი-ესი“ მოიპარა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გიორგი პ. გორში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. ნაქურდალი ნივთები კი, ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ქურდობის ფაქტზე – სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# ზაალ კასრელიშვილი: „დანაშაულის კლების მაჩვენებელი შსს-ს დეპოლიტიზაციის შედეგია“

კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე და ექსპერტი ზაალ კასრელიშვილი, ქვეყანაში დანაშაულის კლების მაჩვენებელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზაციითა და ყოფილი პატიმრებისთვის სოციალური რეაბილიტაციის პროექტების სიმრავლით ხსნის.

როგორც კასრელიშვილმა ნეწსპრესს – თან საუბარში განაცხადა, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროები, ამნისტირებულ პატიმრებს ახალ პერსპექტივებს სთავაზობენ და ბუნებრივია, რომ ისინი თავისუფლების პირობებში დანაშაულს აღარ ჩაიდენენ.

„ყოფილი პატიმარი, ზედმეტი ადამიანის სინდრომის პრობლემის წინაშე აღარ დგას, მას იმის გამო, რომ წარსულში რაღაც შეცდომა დაუშვა, მიწასთან აღარ ასწორებენ. გარდა ამისა, ყოფილი პატიმრები იმის მოლოდინის რეჟიმში არიან, რომ ცხოვრება სტაბილიზაციისკენ მიდის, რომლის შედეგადაც ყველას ექნება იმის საშუალება, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინონ.

დანაშაულის კლების დინამიკის მონიტორინგით დაკავებული არ ვარ, თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ სტატისტიკური მონაცემები სარწმუნოა. ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ვიცით, რომ ჩვენს სამეზობლოში ბინები აღარ ტყდება და მანქანები აღარ იძარცვება“ – განაცხადა კასრელიშვილმა.

მისივე თქმით, ეს მაჩვენებელი იმათაა განპირობებული, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპოლიტიზაცია მოხდა და ამან თავისი შედეგი გამოიღო.

„დაუმორჩილებელი, წინა ხელისუფლებისთვის მიუღებელი და შეთითხნილი ეკონომიკური ბრალდებებით, ადამიანები ციხეებში აღარ ხვდებიან. ერთი პარტიისა და ადამიანის ინტერესებს, რომ აღარ ემსახურება შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეს უკვე ძალიან კარგია და თავისი შედეგიც უკვე მოიტანა“ – განაცხადა ექსპერტმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს, 2013 წლის 10 თვის სტატისტიკა გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, მიმდინარე წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულის რაოდენობამ ქვეყნის მასშტაბით, 27%-ით იკლო, ხოლო რაც შეეხება გახსნის მაჩვენებელს, მან 40%-ით მოიმატა

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კოტე გაბაშვილი: „საქართველოს შეეძლო, სოჭის ოლიმპიადა რუსეთზე ზეწოლისთვის გამოეყენებინა“

თამარ ნინიძე




„პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გერმანიაში ყოფილმა ელჩმა კოტე გაბაშვილმა პრესკონფერენცია გამართა, საუბარი შეეხო ჟენევის მოლაპარაკებებს, გაბაშვილის თქმით, ეს არის ოცდამეხუთე რაუნდი, მოლაპარაკებების თემა იქნება ხელმოწერა ძალის არგამოყენებაზე რუსეთის მხრიდან, მავთულხლართები და კრიმინალური ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

გაბაშვილი აცხადებს, რომ გაეხარდება, თუ ამ მოლაპარაკებებზე წინსვლა იქნება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი ისტორიულად აგრესიული ქვეყანაა, რუსულ დელეგაციას ოსებთან და აფხაზებთან ერთად სურს, რომ საქართველომ ამ დოკუმენტს ხელი მოაწეროს, რითიც დაფიქსირდება, რომ საქართველო ფაქტობრივად აღიარებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. რუსეთს არაერთ მსგავს ხელშეკრულებაზე მოუწერია ხელი, მაგრამ დაურღვევია, ასე იყო, გაბაშვილის თქმით, 1921 წელს, როცა ძალის არგამოყენებაზე და თავდაუსხმელობაზე რუსეთთან ჟორდანიას მთავრობამ ხელი მოაწერა, მაგრამ რუსეთი მაინც შემოვიდა საქართველოში მე-11 არმიის მონაწილეობით და დაიპყრო საქართველო. უნგრეთიდან მოყოლებული, ავღანეთით დამთავრებული რუსეთი არღვევდა ასეთ ხელშეკრულებებს და მისი ნდობა არ შეიძლება.

მავთულხლართებს რაც შეეხება, კოტე გაბაშვილის განცხადებით, რუსეთი ამას იყენებს შინაგანი დესტაბილიზაციისთვის საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოსთვის ჟენევა იმით არის კარგი, რომ რუსეთთან პირისპირ არ რჩება და ამ მოლაპარაკებებში ევროპელი და ამერიკელი დიპლომატებიც მონაწილეობენ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველო შეცდომას უშვებს, როცა სათავისოდ არ იყენებს სოჭის ოლიმპიადას, ამ დროს საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ვექტორი შეცვალა და ღვინისა და მწვანილის სანაცვლოდ დათმო ზეწოლა რუსეთზე ევროპის მხრიდან. ევროპელებმა პუტინზე ზეწოლა მოახდინეს და ამის შედეგად პუტინმა თქვა, რომ თანახმაა, შეხვდეს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს, რომლებიც აქამდე რუსეთში შევიწროებული იყვნენ, ესეც უკავშირდება სოჭის ოლიმპიადას და რუსეთი დაინტერესებულია, რომ ოლიმპიადა წარმატებულად დასრულდეს. საქართველოს შეეძლო ეს ოლიმპიადა რუსეთზე ზეწოლისთვის გამოეყენებინა, რუსეთი ტრადიციას არ ღალატობს და მის სტრატეგიულ დოკუმენტებში აღწერილია როგორ უნდა მოახდინოს საქართველოს სრული იზოლირება მსოფლიოსგან, რომ დასავლეთზე არ იყოს ორიენტირებული.

გაბაშვილის თქმით, ვილნიუსის სამიტზე დიდი მოლოდინი არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ ვილნიუსში ამ ეტაპზე შესაძლოა საქართველოს არ მიეცეს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საშუალება, მოხდეს მხოლოდ ამ დოკუმენტებზე შეთანხმება მომზადების თვალსაზრისით, უკრაინას ევროპა პირობას უყენებს, რომ უნდა გადაწყვიტოს ტიმოშენკოს საკითხი, ის უნდა განთავისუფლდეს და გაემგზავროს გერმანიაში სამკურნალოდ, ასევე ევროპარლამენტარები საქართველოსაც ურჩევენ, თუ ევროკავშირთან ინტეგრაცია სურს წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დევნა შეწყვიტოს. ამას უკავშირდება ბაროზოს განცხადება, რომ აფრთხილებს საქართველოს ხელისუფლებას, ხელი არ ახლოს სააკაშვილს და მის თანაგუნდელებს. ამ ვითარებაში საქართველოს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოუწევს ხელშეკრულების ხელმოწერა თავისუფალ ვაჭრობაზე ევროპასთან.

# კახი კახიშვილი: „ადეიშვილს საზღვარგარეთ კანონიერი ქურდები მფარველობენ“

თამარ ნინიძე

პრაიმტაიმის პრესკლუბში ექსპერტმა კახი კახიშვილმა განაცხადა, რომ ეჭვი არ შეაქვს შსს-ს მიერ გავრცელებულ მონაცემებში დანაშაულის კლების სტატისტიკასთან დაკავშირებით. მის თქმით, კარგია, რომ ასეთი დიდი ამნისტიის და სააკაშვილის მიერ შეწყალების აქტის ფონზე კრიმინალური ვითარება ქვეყანაში არ გაუარესებულა. აქედან გამომდინარე შსს კარგად ახორციელებს არა მარტო დანაშაულის გახსნას, არამედ პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

– დარწმუნებული ვარ, რომ ნაცმოძრაობა ატეხავს ერთ ამბავს, რომ კრიმინალმა იმატა, მაგრამ ნაცმოძრაობა არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც აცხადებს, რომ მის დროს ქვეყანაში კრიმინალი არ იყო, მაგრამ ამავე დროს ვიცით, რომ ევროპაში პირველ ადგილზე ვიყავით პატიმრების რაოდენობის მხრივ, – ამბობს კახი კახიშვილი.



ნაციონალი აკაკი მინაშვილი ამბობს, რომ შსს შევარდნაძის მმართველობის დროინდელ ხერხებს იყენებს და არ აჩვენებს რეალურ მონაცემებს დანაშაულის მატებასთან დაკავშირებით. ამაზე კახიშვილი აცხადებს, რომ თუ ნაცმოძრაობის დროს არ ხდებოდა დანაშაული, მაშინ რის საფუძველზე გავიდა პირველ ადგილზე ევროპაში საქართველო პატიმრების რაოდენობით. გამოდის, აღიარებენ, რომ უდანაშაულო ადამიანებით სავსეა ციხეები. დანაშაულის არაღრიცხვას რაც შეეხება, შევარდნაძის დროს პოლიცია ცდილობდა, ნაკლები განცხადებები აღერიცხა, მაგრამ ახლა ამის დამალვა შეუძლებელია, ონლაინ რეჟიმში შემოდის განცხადებები 112-ში და მისი დაფარვა უმძიმესი დანაშაული იქნება პოლიციის თითოეული თანამშრომლისთვის. სად არის ლოგიკა, თუ ასეთი მძიმე კრიმინალური ვითარებაა ქვეყანაში, იქნებ ახსნან ნაციონალებმა, სააკაშვილის შეწყალების აქტი რითი აიხსნება.

შეწყალების უფლება პრეზიდენტს შეიძლება შეეზღუდოს, ამ საკითხზე კახი კახიშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს შეიწყალოს მსჯავრდებულები და შემდგომ ამას არეგულირებს თავად პრეზიდენტის ბრძანებულება შეწყალების რეგულაციების თაობაზე. ამასთან ერთად სააკაშვილს აქვს ნებისმიერი სხვა უფლება, ეს მისი პირადი რეგულაციებია. კონსტიტუციაში ცვლილება უნდა შევიდეს, რომ პრეზიდენტს ექნება შეწყალების უფლება, მაგრამ შეწყალება ასევე უნდა დარეგულირდეს სხვა კანონმდებლობითაც. პრეზიდენტმა თავად უნდა შეიზღუდოს ეს უფლება. შეწყალების კომისია სწავლობს თითოეული შესაწყალებელი მსჯავრდებულების საქმეებს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი ადამიანი ნაცმოძრაობის დროს დიდი მტკიცებულებებით არ იყო მოხვედრილი ციხეებში, კახიშვილი მიიჩნევს, რომ ცუდი არ იქნება, თუ შეწყალების კომისიის გვერდის ავლით პრეზიდენტს არ ექნება უფლება, ხელი მოაწეროს ამ აქტს.

ვანო მერაბიშვილმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ის პოლიციელებს მადლობას უხდის და ასევე ბოდიშს უხდის, რომ დღეს ისინი არ არიან დაცულები კანონიერი ქურდებისგან. ექსპერტი კახიშვილი გამოეხმაურა ამ განცხადებას და თქვა, რომ ეს არის კარგად დაგეგმილი პიარსტრატეგია.

– ეს არის ზღაპარი, რომ ნაცმოძრაობის მმართველობის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ იყვნენ ე.წ. მაყურებლები, ეს არის გაკეთებული განცხადება იმ ადამიანებისთვის, ვისაც არანაირი შეხება ამ სისტემასთან არ ჰქონია, ის მაღალჩინოსნები, რომლებიც წარმოადგენდნენ ნაცმოძრაობის პოლიტიკურ ელიტას, ჩემამდე მოსული ხმებით იმყოფებიან კანონიერი ქურდების მფარველობის ქვეშ საზღვარგარეთ. ესენი არიან ზურაბ ადეიშვილი და სხვა პოლიციის მაღალჩინოსნები, რომლებიც ერთ დროს აზანზარებდნენ ქვეყანას. მე სანამ კონკრეტული ფაქტები არ მექნება, ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ ზოგიერთი კანონიერი ქურდი მფარველობს საზღვარგარეთ მიმალვაში მყოფ თანამდებობის პირებს. თავად გაარკვიოს ეს ნაცმოძრაობამ და ხელისუფლებამ, – აცხადებს კახიშვილი.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები დაინტერესდნენ კახიშვილის პოზიციით მთავრობაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. საუბარი შეეხო ირაკლი ალასანიასა და ირაკლი ღარიბაშვილის საკმაოდ რთულ ურთიერთობებს. ექსპერტის აზრით, ღარიბაშვილის წარდგენით პრემიერის პოსტზე ივანიშვილმა სწორი სვლა გააკეთა, რადგან ღარიბაშვილი არ არის ასოცირებული არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფთან და ასევე ის ყოველთვის იქნება ასოცირებული ივანიშვილთან. კოალიციაში ყველა სუბიექტს საკუთარი პოლიტიკური ინტერესები აქვს, ხოლო დღეს კოალიციაში გადაწყვეტილებების მიმღები ივანიშვილია, კოალიციის ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის წარდგენა პრემიერად გამოიწვევდა სხვა სუბიექტების უკმაყოფიულებას, ღარიბაშვილი წარსულში არ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ საქმიანობასთან, მის უკან არ დგას არც ერთი პოლიტიკური პარტია, აქედან გამომდინარე ღარიბაშვილი არ დაკავდება რომელიმე პარტიის ხელოვნურად გაძლიერებით. აპოლიტიკური პრემიერ-მინისტრი შეეცდება დააბალანსოს კოალიციის სუბიექტების პოლიტიკური ამბიციები.

– მე არ ვფიქრობ, რომ ძირეული საკადრო ცვლილებები განხორციელდება მთავრობაში, შსს-ში ვაკვირდებოდი, რამდენად ფრთხილად ახდენდა საკადრო ცვლილებებს ღარიბაშვილი, ახლა კიდევ უფრო ფრთხილი იქნება იმიტომ, რომ საქმე აქვს პოლიტიკურ კოალიციასთან, რომლის უკან დგას კონკრეტული პარტიის ინტერესი. ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ სერიოზული საკადრო ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში არ იქნება, ახალი წლის შემდეგ უფრო ვვარაუდობ, რომ ცვლილებები იქნება, – მიიჩნევს კახი კახიშვილი.

შსს-ში მინისტრად პოლიტიზებული ადამიანის დანიშვნა არ შეიძლება, ეს რთული სამინისტროა სამართავად და ამიტომ კახიშვილი ფიქრობს, რომ სავარაუდოდ, ივანიშვილის პირადი დაცვის ყოფილი უფროსი და ახლა შს მინისტრის მოადგილე გომელაური დაიკავებს მინისტრის პოსტს, ის იცნობს ამ უწყებას.

# პარლამენტი თბილისში თუ გადმოვა, უკეთესად იმუშავებს?!

თამარ ნინიძე



საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფრენეციაზე განაცხადა, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე აფხაზეთის დელეგაციას სურს საქართველო და აფხაზეთი ისე წარმოჩნდეს, როგორც მხარეები დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, საქართველო ხელს არ აწერს ძალის არგამოყენების ხელშეკრულებას იმ მოსაზრებით, რომ აფხაზეთი არ დაფიქსირდეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ვოლსკის მიაჩნია, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევიან, როცა ამბობენ, რომ მოქმედი ხელისუფლება ცდილობს, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, რომელშიც აფხაზეთი აღიარებული იქნება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ვოლსკის მიაჩნია, რომ ეს არის წინა ხელისუფლების მხრიდან იაფფასიანი ტრიუკი. ამაზე შეთანხმება არც უახლოესი პერსპექტივის საკითხია და არც შორეული მომავლის. ვოლსკი ამბობს, რომ დვანსა და სხვა სოფლებში, რომელიც მდებარეობს საოკუპაციო ზოლთან, თავად ხშირად იმყოფებოდა და იქაურების პრობლემებს კარგად იცნობს. წინა ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებებით იქ მყოფ ბევრ ადამიანს არ გაუწია დახმარება, ამჟამად მოქმედი ხელისუფლება სწავლობს ამ საკითხებს და ცდილობს დაზარალებულების დახმარებას, სამ ოჯახს, რომლებსაც იქ სახლები დაუწვეს, სახელმწიფომ უკვე მისცა კომპენსაციის სახით 15 ათასი დოლარი.

ვოლსკი ეხმიანება თბილისში პარლამენტის გადმოტანის თემასაც, მისი აზრით, ეს საკითხი უნდა მოგვარდეს, იმიტომ, რომ თუნდაც მომავალ კვირას პარლამენტარებს შეხვედრა ექნებათ საგარეო უწყების პირველ პირებთან, პლენარულ სხდომამდე ერთი საათის განმავლობაში უნდა მოესწროს ამ შეხვედრის გამართვა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დღე-ნახევარი დრო ეკარგებათ თბილისიდან ქუთაისში მგზავრობაში, სერიოზული პრობლემები ექმნებათ ასევე დიპლომატებს და პარლამენტის ტექნიკურ პერსონალსაც, რომლის უმეტესობა თბილისელია. თუ პარლამენტი თბილისში დაბრუნდება, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი სერიოზულად ამაღლდება.

ვოლსკი აცხადებს, რომ მას არა აქვს არანაირი საფუძველი ეჭვი შეიტანოს შსს-ს სტატისტიკურ მონაცემებში კრიმინალური ვითარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ჟენევის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ვოლსკი ამბობს, რომ წინა ხელისუფლება სპეკულირებს პროდასავლურობით და პროამერიკულობით, კოალიციას კი ადანაშაულებს პრორუსულობაში, ასეთი პრაქტიკა უნდა დასრულდეს და მსგავსი სპეკულაციები არ უნდა იყოს, ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით საქართველო ევროპულ ოჯახში სრულფასოვან წარმომადგენლად შევა და ეს იქნება ქვეყნისთვის დიდი მიღწევა.

ასევე საუბარი შეეხო ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებს, რომელიც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის დასჯად სანქციებს ითვალისწინებს, ვოლსკი ფიქრობს, რომ ამის დრამატიზება არ ღირს იმიტომ, რომ ამ საკითხზე იურისტები მუშაობენ და გათვალისწინებული იქნება სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები. ისეთი დებულებები უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც საქართველოს ტრადიციულ ღირებულებებს მიესადაგება.



# მიხეილ სააკაშვილი ახალ მთავრობას და პრეზიდენტს წარმატებას უსურვებს

მიხეილ სააკაშვილი ახლად არჩეულ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილსა და საქართველოს მთავრობას წარმატებას უსურვებს.

„მინდა წარმატება ვუსურვო საქართველოს ახალ მთავრობას და პრეზიდენტს. მიმაჩნია, რომ მათი ფოკუსი უნდა იყოს მომავალზე კონცენტრაცია თუ როგორ უნდა მოახდინონ საქართველოს წაყვანა უკეთესობისკენ. ბიზნეს-რეიტინგებში საქართველო 137-ე ადგილიდან გადავიყვანე მერვეზე, გადაიყვანონ მათ პირველზე და ეს მხოლოდ გამიხარდება. ჩვენ გავზარდეთ ეკონომიკა რამდენჯერმე, მათ კიდევ უფრო გაზარდონ და გამიხარდება. ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება, თუ ახალი მთავრობა მიაღწევს წარმატებებს, რადგან ეს იქნება საქართველოს წარმატება. იმდენი წელი შევალიე საქართველოს სამსახურს, ისე მინდოდა, საქართველოს წარმატება, რომ არც ერთი ფორმით არ გამიხარდება მისი წარუმატებლობა“ – განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, იგი ხალხის მადლიერია, რათა ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლის შესაძლებლობა მისცეს.

**ნიუსპრესი**

# შალვა ნათელაშვილის აქციის გამო პატრული გამოიძახეს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა დღეს საცურაო აუზ „ლაგუნა ვერეს „ მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია-ბრიფინგი გამართა, სადაც პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აღნიშნული ტერიტორიის მითვისებაში დაადანაშაულა.

როგორც ნათელაშვილმა აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილის და მისი თანაგუნდელების ადგილი, გლდანის ტერიტორიაზეა.

„აი, ეს ტერიტორია ეკუთვნოდა აბრეშუმის საწარმოო კომბინატს და იქ ათასობით ადამიანი მუშაობდა. ივანიშვილმა ეს ტერიტორია ხელში ჩაიგდო, საბავშვო ბაღიც დააყოლა და საცურაო აუზიც მიუერთებია“, – განაცხადა ნათელაშვილმა და დასძინა, რომ მოვა დრო და ძალიან მალე მთელი ეს სივრცე და მთელი ეს მილიარდიანი ქონება მის კანონიერ მესაკუთრეს, მის უდიდებულესობას, ქართველ ხალხს დაუბრუნდება.

ლეიბორისტული პარტიისა და მედიის წარმომადგენლების „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიაზე მისვლამ დაცვის უფროსის გაღიზიანება გამოიწვია. მან საპატრულო პოლიციაც გამოიძახა, თუმცა ნათელაშვილმა აქცია-ბრიფინგი პატრულის ეკიპაჟის მისვლამდე გამართა და შემდეგ აღნიშნული ტერიტორიაც დატოვა. **მედიანიუსი**



# თემურ შაშიაშვილი: „მარგველაშვილის არჩევის გამო საქართველოს შერცხვება“

## როგორ მოიხსენიებდა ახალი პრეზიდენტი ქართველებს 12 წლის წინ

შორენა მარსაგიშვილი

**ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 10 დღეში დადებს ფიცს და ოფიციალურად შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. მან საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. თუმცა ყველამ ვიცით, რომ ის ხმები ხალხმა გიორგი მარგველაშვილს კი არა, ბიძინა ივანიშვილს მისცა.**

ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ხალხი დააშანტაჟა, პირდაპირ განაცხადა, თუ მარგველაშვილს არ აირჩევთ, უფრო მალე წავალ პოლიტიკიდანო. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა კი ჩვენში ბევრს არ სურდა და მისი ხათრით ერმა პირველივე ტურში მოაგებინა არჩევნები მარგველაშვილს.

როგორ გაართმევს თავს ივანიშვილის ხათრით არჩეული მარგველაშვილი თავს პრეზიდენტობას, ამას მომავალი გვაჩვენებს. ამ დღეებში კი ჯერაც ფიცდაუდებელმა მარგველაშვილმა ერის აღშფოთება გამოიწვია.

სოციალური ქსელებით გავრცელდა ერთი სტატია, რომელიც მომავალმა პრეზიდენტმა 2001 წელს ჟურნალში „დრო მშვიდობისა“ გამოაქვეყნა. ეს გახლავთ გიორგი მარგველაშვილის მცირე ფილოსოფიური ტრაქტატი: „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ“.

გიორგი მარგველაშვილის ტრაქტატიდან ამონარიდები პორტალმა „ნიუპოსტმა“ გამოაქვეყნა. აი, რას წერს მარგველაშვილი:

„ერი, რომელიც ყველას უყვარს და ყველას ეცოდება... მაგრამ, რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა და სიჩლუნგის გამო“;

„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე.

ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა...“;

„ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზე დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება, ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ, ის „პამპულობას“ თამაშობს. ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს“;

„რა არის ქართული სახელმწიფო, თუ არა სახელმწიფობანას თამაში, რომელიც ბავშვების თამაშის ძირითად წესს ეფუძნება: „არაუშავს“, „მაპატიე, რა“, „არ მინდოდა“ და ა. შ. თუმცა ამ სახელმწიფოში ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც არ უნდა ხდებოდეს: ერთნი მდიდრდებიან, მეორენი ღატაკდებიან... ეს დისბალანსია, რომლის გამოსწორებას უნდა ცდილობდეს ერი...

მაგრამ ამას არ იქმს, დისბალანსი არ იცვლება, რადგან ერთი „ჟილკობით“ იგებს, მეორე კი არ ცდილობს, ეს „ჟილკობა“ დაგმოს, არამედ ცდილობს, თვითონაც იხეიროს სხვათა ხარჯზე...“;

„მოკლედ, საქართველოს სახელმწიფო „პამპულობის“ თამაშს ჰგავს: თუ წაგართმევენ ბურთს, შენ ხარ პამპულა, თუ შენ წაართვი — სხვა. მაგრამ ბურთი არსად მიდის, იგი მოთამაშიდან მოთამაშესთან გადადის. დღეს შენ გაპამპულებს, ხვალ შენ გაქვს ბურთი. ხოლო თუ თამაშისას ერთმა მეორეს ფეხი წამოსდო, ეტყვის: მაპატიე რა, არ მინდოდა და სხვებიც ეტყვიან: „არა უშავს, თამაშია, რა...“

ამ ტრაქტატის გამო მარგველაშვილი ამ დღეებში ბევრმა დაგმო. მათ შორის ისეთებმაც, არჩევნებზე ლამის ფარგლით რომ შემოხაზეს მისი გვარი. პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ახალი პრეზიდენტის მიმართ ისედაც უარყოფითად იყო განწყობილი. ამ ტრაქტატის წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო გაუმძაფრდა უარყოფითი განწყობა.

მისი აზრით, სხვისი ხათრით არჩეული პრეზიდენტი საქართველოს ხეირს არ მოუტანს. შაშიაშვილი ოცნებობს იმ დროზე, როცა საქართველოში პოლიტიკურ თანამდებობებზე უცნობ ადამიანებს აღარ აირჩევენ.

— ამერიკაში არ ირჩევენ უცნობს, საქართველოში არ ირჩევენ ნაცნობს. ეს არის ქართული პარადოქსი, რომელიც ტრაგედიად გვიბრუნდება. ამერიკა ძლიერია იმის გამო, რომ იქ გამორიცხულია თანამდებობაზე, მით უფრო მაღალზე, უცნობი აირჩიონ, აირჩიონ კაცი, რომელსაც 20 წელი მაინც არ აკვირდებიან. დამოუკიდებელ საქართველოში მუდმივად ვირჩევთ უცნობს, უფრო მეტიც, ვირჩევთ სხვისი ხათრით (ზვიად გამსახურდიას დიდი ავტორიტეტის გამო, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, ბიძინა ივანიშვილის ხათრით) და მერე მუდმივად გავიძახით „არ ვიცოდი“, „რომ მცოდნოდა“...

არჩევნების წინ „თეთრები“ მუდმივად ერთ რამეს ვადასტურებდით: არჩევანში მაშინ ხარ თავისუფალი, როცა ყველაფერი იცი კანდიდატის შესახებ, როცა არ ხარ საინფორმაციო და მერკანტელური ინტერესების წნეხის ქვეშ. შენ შეკრებულობის მწვერვალზე ხარ. როგორც გენიოსები ამბობენ, გადაწყვეტილების მიღების დროს ადამიანი უნდა იყოს შეკრებულობის მწვერვალზე, ანუ მას სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს და სრულად იყოს თავისუფალი.

არ გაიზიარეს. ბატონი ბიძინას ხათრით არჩევის პრინციპმა აჯობა დემოკრატიის პრინციპებს. სამწუხაროა.

არჩევნების წინ ვითხოვდით: გამოქვეყნდეს პრეზიდენტობის კანდიდატების, განსაკუთრებით კი მთავარი პრეტენდენტების, მარგველაშვილისა და ბურჯანაძის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო დასკვნა.

„ქართულმა ოცნებამ“ დემოკრატიისათვის საყოველთაოდ აღიარებული ეს პრინციპი სასაცილოდ აიგდო, ბატონმა მარგველაშვილმა იგნორირება გაუკეთა. სამწუხაროა, — აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

თემურ შაშიაშვილისთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა ის მასალები, რაც გიორგი მარგველაშვილზე ბოლო ხანებში იბეჭდება. „თეთრების“ ლიდერი ეჭვობს, რომ კიდევ უარესებს გავიგებთ ახალ პრეზიდენტზე და ამ კაცის არჩევის გამო შეგვრცხვება.

— არჩევნების შემდგომ საინფორმაციო სივრცე გაივსო მაკომპრომეტირებელი მასალებით. უკვე გვიანაა. კიდევ უფრო უარესებს გავიგებთ და შეგვრცხვება, ვის მივეცით ხმა და ვინ ავირჩიეთ ქვეყნის უმაღლეს თანამდებობებზე.

მძიმე რამეს ვამბობ, მაგრამ არ შეიძლება ჯანმრთელი იყოს ადამიანი, რომელიც 1998 წელს ენ-დი-აი-ს სახელით და დაფინანსებით გამოსცემს წიგნს „როგორ ჩავატაროთ არჩევნები“, რომელიც პრაქტიკულად არის საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მოტყუების სახელმძღვანელო....

არ შეიძლება ჯანმრთელი იყოს ადამიანი, რომელიც 2001 წელს ქართველ ერზე ამას წერს: „ერი, რომელიც ყველას უყვარს და ყველას ეცოდება, მაგრამ, რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა და სიჩლუნგის გამო“; ეს კაცი დღეს საქართველოს პრეზიდენტია. არ შეიძლება ჯანმრთელი იყოს ადამიანი, რომელიც 2001 წელს ქართველ ერზე ამას წერს:

„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა...“ ეს კაცი დღეს საქართველოს პრეზიდენტია. მე მრცხვენია, რომ საქართველო, ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი ნაწილი, სიხარულით შეხვდა იმ კაცის პრეზიდენტად არჩევას, რომელმაც ქართველ ერზე დაწერა: „ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზე დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება, ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ ის „პამპულობას“ თამაშობს. ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს“.

ყველამ ვიცით, რომ უცნობი არ უნდა ავირჩიოთ, მაგრამ ვირჩევთ ხათრით. სამწუხაროა. მაფიქრებს, რა არის ეს ხათრი ასეთი, რომელიც იმას გვაკეთებინებს, რაც ყველამ ვიცით, რომ არ ვარგა. ყველამ ვიცით, რომ საქართველოს მომავალი მხოლოდ ნიჭის და ზნეობის ძალაუფლებასთანაა დაკავშირებული და არა პიროვნების, მაგრამ ჩვენ 20 წელია პიროვნების ძალაუფლების ქვეყანაში ვცხოვრობთ. უარესი, იმ პიროვნებათა ძალაუფლების ქვეყანაში, რომლებიც ნიჭიერს და ძლიერს ვერ იტანენ, თუ მათი მსახურები არ არიან, — ამბობს თემურ შაშიაშვილი.

მისი თქმით, ვიდრე ქვეყანაში ისეთ ხელისუფალს ვადიდკაცებთ, რომელსაც ქვეყნის ერთგულს საკუთარი ერთგული ურჩევნია, ვიდრე ამას ვიტანთ და ვეგუებით — საქმე წინ ვერ წავა.

# პარლამენტის თბილისში გადმოტანას ნაციონალების თანხმობა სჭირდება

შორენა მარსაგიშვილი

**საკანონმდებლო ორგანოს ადგილმდებარეობა კვლავ დიდი ალიაქოთის მიზეზია. ნაციონალები მიიჩნევენ, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს. ან სხვა რა უნდა თქვან, როცა მათ მიერ მოხდა დედაქალაქიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანა. ალალად ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს იდეა მათ არ მოსვლიათ თავში. ამის შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი იყო.**



რა ამოძრავებდა სააკაშვილს ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ეს ალბათ პრეზიდენტის ბებიამაც კი არ იცის. კულუარულ საუბრებში ნაციონალები ამბობდნენ, რომ დედაქალაქიდან პარლამენტის გადატანა დაუშვებელი იყო. ხმამაღლა კი ამას როგორ გაბედავდნენ. არც კონსტიტუციის შეცვლაზე უთქვამთ უარი. ასე გადავიდა პარლამენტი სავარდო და სამაისო ქალაქში.

ახლა მეოცნებეები პარლამენტის თბილისში დაბრუნებას ცდილობენ. თუმცა, ეს კარგად არ გამოსდით. მიზნის მისაღწევად საკონსტიტუციო უმრავლესობაა საჭირო, რომელიც ნაციონალების გარეშე არ გამოდის.

ნაციონალების დაყაბულება არც ისე იოლი გამოდგა, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი ამბობს, რომ უმრავლესობა პარლამენტის თბილისში გადმოტანის საკითხზე უმცირესობასთან კონსულტაციებს გააგრძელებს.

— უმრავლესობა ეცდება, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები საკანონმდებლო ორგანოს თბილისში გადმოტანის აუცილებლობაში დაარწმუნოს. ჩვენ შევეცდებით, რომ ამ საკითხის გატანა ინაუგურაციამდე მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, დავაკვირდებით იმ პროცესებს, რომელიც მომავალი ორშაბათიდან პარლამენტში განვითარდება. თუ შევძელით, ეს კარგი იქნება, თუ ვერ მოხერხდა, მოგვიწევს კოლეგებთან მუშაობა. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. თუ საპარლამენტო უმცირესობა ახლა ვერ დავარწმუნეთ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობაში, მაშინ ჩვენ უკვე სხვა რეალობა დაგვხვდება, რაც არ უნდა თვალი დავხუჭოთ ამაზე. როგორც კი 18 ნოემბერი გათენდება, უკვე ამოქმედდება კონსტიტუციის თავსმოხვეული ნორმა და ჩვენ დაგვჭირდება 113 დეპუტატის ხმა საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად. პარლამენტის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით უმრავლესობამ ნაციონალურ მოძრაობას რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა, რომელზეც ისინი ფიქრობდნენ, თუმცა საბოლოოდ, ამ საკითხის კენჭისყრაზე გატანა მაინც არ მოხდა, — განაცხადა „პირველის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ცაგარეიშვილმა.

დეპუტატი გუშინ იმ ინიციატივასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც პრეზიდენტს უფლებამოსილება უნდა შეეზღუდოს. ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ შეწყალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხის გადახედვა მიზანშეწონილი არ არის.

ეს ინიციატივა სახალხო დამცველს ეკუთვნის. უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ ყველა კატეგორიის მსჯავრდებულის შეწყალებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა გადაიხედოს.

— მიხეილ სააკაშვილი მოქმედებს, როგორც ავაზაკი, მაგრამ რა დააშავა ახალმა პრეზიდენტმა, რომელმაც შესაძლოა, ეს უფლება კეთილგონივრულად გამოიყენოს. ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებები ისედაც შეზღუდულია და არა მგონია, რომ რაიმე ზღუდეები უნდა აღვმართოთ. საპარლამენტო უმრავლესობისგან ვერ მოვისმინე მყარი არგუმენტი, რატომ უნდა შემცირდეს პრეზიდენტის ეს უფლებამოსილება, — განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მან გუშინ შსს-ს მუშაობაც შეაფასა. წინა ხელისუფლების დროს ცაგარეიშვილი სულ პოლიციას აკრიტიკებდა, ახლა კი მათი საქმიანობით კმაყოფილია.

— ახალი ხელისუფლების ამოცანა იყო, გაუცხოებული პოლიცია საზოგადოებისთვის დაგვებრუნებინა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბრწყინვალედ მოახერხა. რა თქმა უნდა, პოლიციის ყოველდღიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. ეს ასეც იქნებოდა. დამნაშავე პოლიციელებს, თუკი ასეთები არიან, ჩვენ ხელს არ ვაფარებთ. უკვე ერთ წელიწადზე მეტია, თვითწმენდის პროცესი მიდის და ეს გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება შს მინისტრი. დღეს პოლიცია დეპოლიტიზებულია. პოლიცია არ უნდა ემსახურებოდეს რომელიმე პარტიას და პოლიტიკური პროცესებისგან გამიჯნული უნდა იყოს. პოლიციის რებრენდინგი პარლამენტის მიერ ერთი თვის წინ მიღებული „პოლიციის შესახებ“ კანონით დაგვირგვინდა, — ამბობს ცაგარეიშვილი.

## სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობამ იკლო, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა იმატა

შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 10 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. სტატისტიკური მონაცემებით, მიმდინარე წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 7112 ერთეულით იკლო, რაც პროცენტულად 22,7%-ს შეადგენს, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 40,6%-ით მოიმატა და 59,1% -ს მიაღწია.

სამინისტრო ოქტომბრის თვის დანაშაულის სტატისტიკასაც აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, მიმდინარე წლის ოქტომბერში, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის კლება 1004 ერთეულით დაფიქსირდა, რაც 27,6%-ს შეადგენს. დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი კი 64,5 პროცენტია და 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 56,3 %-ით აღემატება.

რაც შეეხება ციფრობრივ გამოხატულებას, მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში, ქვეყანაში სულ 24 175 დანაშაული მოხდა, საიდანაც 14 285 დანაშაული გახსნილია, გახსნის მაჩვენებელმა კი 59,1 პროცენტი შეადგინა. გასული წლის ამავე საანალიზო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით 31 287 დანაშაული იყო მომხდარი, საიდანაც 5 789 გაიხსნა, გახსნის მაჩვენებელმა 18,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში დანაშაულის კლების რიცხვი 7 112 -ია. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში კი, ქვეყნის მასშტაბით 2 640 დანაშაული მოხდა, საიდანაც 1703 გაიხსნა, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 64,5 პროცენტი შეადგინა.

2012 წლის ანალოგიურ საანალიზო პერიოდში, საქართველოში 3 644 დანაშაული მოხდა, საიდანაც 298 გაიხსნა, გახსნის მაჩვენებელმა 8,2 პროცენტი შეადგინა, ხოლო დანაშაულის კლება ციფრობრივად, 1004-ია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმადვე, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ყველაზე მეტი დანაშაული დედაქალაქში მოხდა.

ნიუსპრესი

# „ირაკლი ღარიბაშვილის სორბონის უნივერსიტეტის დიპლომი დაიდოს!“

გოგა ხაჩიძე ახალ ულტიმატუმს აყენებს

შორენა მარსაგიშვილი



ქვეყანა საკადრო ცვლილებების მოლოდინშია. მთელი ერი იმაზე მკითხაობს, როგორ დაალაგებს მინისტრთა კაბინეტს ირაკლი ღარიბაშვილი. ეს ამბავი ნაციონალებსაც აინტერესებთ. მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებები გოგა ხაჩიძესაც აინტერესებს. თუმცა მისთვის მინისტრების დიპლომები უფრო საინტერესოა.

ალბათ გახსოვთ, რა ამბები ატეხა თეა წულუკიანის დიპლომზე. ახლა კი ირაკლი ღარიბაშვილის განათლებით დაინტერესდა. მოითხოვა, ღარიბაშვილის დიპლომი დაიდოსო. ხაჩიძის მოთხოვნამ ერი გაამხიარულა. ფეისბუქზე გამოქვეყნებულ მის მოთხოვნას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

— ვინმემ არ იფიქროს, ასეთი ახირება მაქვს, თუ იფიქრებს და არც ეგაა დიდი პრობლემა. აბა მიპასუხეთ, ისე — ინფორმაციის დონეზე, რა ვიცით ჩვენ ღარიბაშვილის განათლების შესახებ?

ვიცით და ამის შესახებ ხშირად გაგვიმეორეს, რომ ღარიბაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სორბონის უნივერსიტეტი. ამას ამბობენ ტელევიზიები, საინფორმაციო საშუალებები, პოლიტიკოსები.

კიდევ ერთხელ, მარტივად რომ ვთქვათ: ჩვენ ვიცით, რომ ღარიბაშვილს {სორბონა} აქვს დამთავრებული.

ხომ ეს ვიცით?

- დიახ!

ხომ ნამდვილად ასე ვიცით?

— დიახ, ნამდვილად ასე ვიცით!

ვინაიდან პირადად მე, საფრანგეთში მიღებულ განათლებაზე და იქ აღებულ დიპლომებზე (ქ-ნი წულუკიანის შემთხვევიდან გამომდინარე) „კარგი გამოცდილება“ მაქვს, ნება მიბოძეთ ამ შემთხვევაშიც ვიკითხო:

ნამდვილად დაამთავრა ირაკლი ღარიბაშვილმა სორბონის უნივერსიტეტი?!

იქნებ უბრალოდ ენის კურსი გაიარა?

იქნებ სწავლობდა და არ, ან ვერ დაამთავრა?

რაღაც უცნაური ეჭვი მაქვს, რომ ამ ორი „იქნებ“-იდან შეიძლება რომელიმე სიმართლე აღმოჩნდეს (?!)

და რა?! ამის შემდეგ ჩვენ ვიტყვით, რომ ეს სიახლე არაა?!

რომ ეს ამბავი, ასე ვიცოდით და არა კონკრეტულად ისე, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა სორბონის უნივერსიტეტი დაამთავრა?!

— არა, ასე ვერ ვიტყვით, მაშინ უბრალოდ თავს მოვიტყუებთ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ბუნებრივად მიჩნდება მოთხოვნა, თხოვნა (რომელიც გნებავთ)

სორბონის უნივერსიტეტის დიპლომი დაიდოს!

დაიდება — ყველაფერი გასაგები იქნება.

არ დაიდება და არც მაგის გაგება გაგვიჭირდება, რა მოხდა მერე, — წერს ხაჩიძე.

გასაგებია, რომ ხაჩიძეს აინტერესებს მომავალი პრემიერის განათლება, მაგრამ საკითხავი ისაა, მთავარ მედიპლომედ ვინ დანიშნა ეს კაცი.

და კიდევ, ეტყობა ხაჩიძემ არ იცის, ღარიბაშვილი კინგ-ბოქსით რომ არის გატაცებული, თორემ საბრძოლო ხელოვნების ცოდნის დემონსტრირებასაც მოსთხოვდა.

თუმცა ყველაფერი წინაა, ეგება მოითხოვოს. და თუ დათანხმდა ღარიბაშვილი ილეთების ჩვენებას, ნეტა გოგა ხაჩიძე თუ მოინდომებს სპარინგ-პარტნიორობას?

# გელა ნიკოლაიშვილი: „სააკაშვილი იძულებული გახდა, ახალაია შეეწყალებინა“

## ივანიშვილი პოლიტიკაში ისევ ჩაერევა

ნონა ცაბაძე



### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბაჩო ახალაია სააკაშვილმა შეიწყალა. როგორ ფიქრობთ, გამოვა გარეთ თუ მოუწევს საპატიმროში ყოფნა?***

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ის გარეთ ვერ გამოვა. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილს არ უნდოდა ამ შეწყალებაზე ხელის მოწერა. მას გარკვეული ვალდებულებები აქვს ბუნებრივია და ის იძულებული იყო, მოეწერა ხელი. იმიტომ, რომ ბაჩო ახალაია საკმაოდ ოდიოზური ფიგურაა. მას ამის გამო დასჭირდა ხუთგვერდიანი ახსნა-განმარტების მიცემა, თუ რატომ აწერდა ხელს მის შეწყალებას. ფაქტიურად ქვეტექსტებით შეიძლება წავიკითხოთ, რომ კი, ბაჩო ახალაია, რა თქმა უნდა, არის ბევრ საკითხში დამნაშავე, ეს თვითონ მისი წერილის ტონში და ქვეტექსტებში იგრძნობა, მაგრამ ერთადერთი, რის გამოც მე ის შევიწყალე და ვალდებული ვარ შევიწყალო, არის ის, რომ მან გამოუცხადა დაუნდობელი ბრძოლა კრიმინალურ სამყაროს, ქურდულ სამყაროს და ამიტომ მე მას ვიწყალებ. მან იცის, რა თქმა უნდა, მოქალაქეების უარყოფითი განწყობა ქურდული სამყაროს მიმართ და თავისთავად ორჯერ უარყოფითი განწყობა ბაჩო ახალაიას მიმართ და მას სურს, ეს გადაფაროს იმით, რომ აი, ის ამ კუთხით მაინც ხომ რაღაცას აკეთებდა. თუმცა ვერავინ გამოვა ქურდული სამყაროს ადვოკატად, მაგრამ იმ დროს, როდესაც ის ამბობს, რომ ნებისმიერი ხერხებით, თუნდაც ადამიანების წამებით, მკვლელობით, სადისტური მოქმედებით მათ მიმართ შეიძლება ადამიანი მოქმედებდეს, თუნდაც ქურდული სამყაროს წინააღმდეგ და ეს მას ამართლებს, ეს უკვე თვითონ პრეზიდენტის სახეს აჩვენებს და თვითონ იმას ამტკიცებს, რომ ის ყველაფერი, რასაც ბაჩო ახალაია და მის მიერ დამკვიდრებული სისტემა აკეთებდა პენიტენციალურ სისტემაში, თუნდაც კრიმინალური სამყაროს მიმართ, ეს სისტემა მოდის და მკვიდრდება სწორედ სააკაშვილისგან. ის იყო ამის იდეოლოგიური ხელმძღვანელი და ის აძლევდა ამის კარტბლანშს, რომ ოღონდ შენ ეს სისტემა გადატეხე წელში და თუნდაც ჩახოცე ადამიანები. შემთხვევითი არ არის ისიც, ასეთი ტერმინი დაამკვიდრეს, რომ ქურდული სამყარო სახელმწიფოს წინააღმდეგ და აი, ბაჩო ახალაია თითქოს გაიჭყლიტა აქ. თითქოს თუ ქურდული სამყაროს წარმომადგენელია ადამიანი, ის ადამიანი აღარ არის, მას, როგორც ადამიანს, არ უნდა მოეპყრო. ეს არის დაახლოებით ფაშისტური იდეოლოგიის მსგავსი, ისინიც ამბობდნენ, რომ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც მათ საკონცენტრაციო ბანაკებში ჰყავდათ და რომლებსაც არაადამიანურად ეპყრობოდნენ. ისინიც ამბობდნენ, რომ ეს დაბალი კატეგორიის ხალხია და მათ მიმართ ასეთი მოპყრობა გამართლებულია.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ სააკაშვილის მხრიდან ახალაიას შეწყალება იძულებითი აქტი იყოო. რატომ გახდა იძულებული, ახალაიას აქვს კომპრომატები მის წინააღმდეგ და ამის შეეშინდა თუ რა ხდება?***

— არამხოლოდ ამიტომ. მე არა მგონია, რომ სააკაშვილი უშუალო დავალებებს აძლევდა ბაჩო ახალაიას კონკრეტული პატიმრების მიმართ. მე ისიც არ მგონია, რომ ბაჩო ახალაიას კონკრეტული ფაქტები ჰქონდეს სააკაშვილის წინააღმდეგ და რომც თქვას, რომ სააკაშვილი მავალებდა რაღაცას, ამას ვერ დაამტკიცებს. ეს ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა. ამისი არც დოკუმენტი დარჩებოდა, არც ვიდეო ჩანაწერი. თუმცა, რა თქმა უნდა, პირად საუბარში და პირადი ბრძანებების გაცემის დროს, ის აუცილებლად დაავალებდა მას და მისცემდა სრულ თავისუფლებას მოქმედებების მეთოდებში. მთავარი აქ ის იყო, რომ მას უნდა ეჩვენებინა თავისი ჯერ კიდევ შემორჩენილი გუნდის წევრებისათვის, რომ ის მათ არ მიატოვებს და ის მათ ბოლომდე დაიცავს კბილებით. ეს რომ მას არ გაეკეთებინა, ჯერ ისედაც თეა თუთბერიძეები და მისი მსგავსი ე.წ. უფლებადამცველები ისედაც ლანძღავენ სააკაშვილის გუნდის ერთ ფრთას, თუნდაც ბოკერიას, თუნდაც მერაბიშვილს, იგივე ბაქრაძეს და სხვებს და ახლა, მით უმეტეს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთებოდა, რომ აი, იმ მეორე ფრთას, რომელსაც სადისტური დავალებების შემსრულებელი ჯგუფი ჰქვია, პირველი, ვინც ჩამოვთვალე, ისინი უფრო იდეოლოგები იყვნენ, ხოლო მეორე ჯგუფი შემსრულებლები, ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას, კეზერაშვილების და სხვების სახით. ეს მეორე ჯგუფი მან გაწირა თითქოს, ასეთი შთაბეჭდილება შეიქმნებოდა და სწორედ ამის ჩვენება არ უნდოდა. ამით ის ამბობს, რომ ერთგულია თავისი ქვეშევრდომების.

***— თქვენ მეგის ქარდავა ახსენეთ, რომელიც უგზო-უკვლოდ არის გაუჩინარებული, რამდენად გჯერათ იმ მოარული ხმების, რომ მეგის ქარდავა ლიკვიდირებულია?***

— ეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შემიძლია რომ ვთქვა. არ მგონია, რომ ის ლიკვიდირებული იყოს. თუმცა ვარაუდი ყველაფრის შეიძლება. მით უმეტეს, რომ თუ ვინმეს აწყობს დღეს მეგის ქარდავას ლიკვიდაცია, ეს არის სწორედ ნაციონალური მოძრაობის უმაღლესი ხელისუფლება და აქედან გამომდინარე ამას არ გამოვრიცხავ. თუმცა, რა თქმა უნდა, არა მაქვს არანაირი კონკრეტული საბუთი, გარდა ელემენტარული ლოგიკისა და ვარაუდისა.

***— რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ვხედავთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სტრატეგია შეიცვალეს, თითქოს უფრო მოძლიერდნენ, რაც უნდოდათ, ის მიიღეს. აცხადებენ, რომ მეორე ძალას წარმოადგენენ ქვეყანაში, რომ ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა მათ მისცა ხმა და ასე შემდეგ... თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები, რა გეგმები აქვთ მათ?***

— მე ვფიქრობ, რომ ნაციონალებმა ამ არჩევნებში მართლაც მიაღწიეს პროგრამა მაქსიმუმს. ეს რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარეობდა, უმთავრესი იყო ხალხის პასიურობა, ვინაიდან ნაციონალების ამომრჩევლები მაქსიმალურად მივიდნენ, დანარჩენებიც რომ მისულიყვნენ, იმ 55%-დან თუნდაც 22% რომ მისულიყო, მაშინ ნაციონალების შედეგი იქნებოდა არა ოცი, არამედ 10% და, სავარაუდოდ, ისინი მეორე ადგილზე ვერ გავიდოდნენ, იმიტომ, რომ თუ ვინმეს მიცემდნენ ხმას ის ადამიანები, ხმას მიცემდნენ მესამე ძალას — ნინო ბურჯანაძეს. არ მივიდნენ ერთი მხრივ ის ადამიანები, ვისაც არ მოსწონდა ნაციონალები, მაგრამ მეორე მხრივ, ის განაწყენებული იყო „ქართულ ოცნებაზე“ და ვინც თვლიდა, რომ იმედგაცრუება გამოიწვია „ქართულმა ოცნებამ“. ლოგიკურად რჩებოდა მესამე ძალა, ეს ნინო ბურჯანაძე იყო თუ სხვები, მაგრამ იმ სხვებს, ჩვენ ვნახეთ, რა რეიტინგებიც ჰქონდათ, ნულიდან ერთ პროცენტამდე. სავარაუდოდ, მათ ნაკლები ხალხი მისცემდა ხმას. ის არ მისული კონტინგენტი იყო პოტენციურად მესამე ძალის და კონკრეტულად ბურჯანაძის ამომრჩეველი. როგორც ჩანს, ამ ორ ძალაში, ნაციონალებსა და ოცნებაში იმედგაცრუებულებმა, მაინც ვერ დაინახეს მათი ალტერნატივე ბურჯანაძის სახით ბოლომდე, მასაც არ ენდნენ და ის დანარჩენი 54% სადავო და საჭიდაოა პოლიტიკური პარტიებისთვის, განსაკუთრებით კი 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილი გადავა აქტიურ ოპოზიციაში, თუკი მიეცა მას ამის საშუალება?***

— თუკი მიეცა ამის საშუალება, რა თქმა უნდა, გადავა. თუმცა ისეთი ოდიოზური ფიგურა, როგორიც არის იგივე სააკაშვილი, იგივე ბოკერია, იგივე კეზერაშვილი, მერაბიშვილი, ახალაია და სხვები, მათი გამოჩენა არის დიდი ტვირთი ნაციონალური მოძრაობისთვის. მათ ჰყავთ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ არიან ოდიოზურები და ამიტომაც წინა პლანზე გამოყავთ ისინი. თუნდაც იგივე ბაქრაძე, იგივე ვაშაძე და ფაქტიურად მე მეტს ვერც კი ვიხსენებ. ეს ორი ადამიანი ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით წინა პლანზე გამოდის. თვითონ ჩიორა თაქთაქიშვილიც კი და აღარაფერს ვამბობ ნუგზარ წიკლაურზე, დარჩიაშვილებსა და ასეთ ხალხზე, ისინი უკანა პლანზე გადავიდნენ. იმ ფონზე, როდესაც ისევ სააკაშვილია არჩეული პარტიის თავმჯდომარედ, ნაციონალებს არა აქვთ არანაირი პერსპექტივა. თანდათანობით ისინი, როდესაც დაკარგავენ იმ ბერკეტებს, რაც მათ აქვთ და აქ, პირველ რიგში, იგულისხმება გამგეობები, გუბერნატორები, უშიშროების საბჭო და ასე შემდეგ. განსაკუთრებით დაკარგავენ იმ ბიზნესის წყაროებს, რომლებიც მათ დროს გაიჩინეს და მათი წყალობის გარეშე უბრალოდ ვერ იფუნქციონირებდა უბრალო, პატარა მაღაზიებიც კი. ის ვინც მათ ხმა მისცა, ბევრი ძალიან დავალებული იყო მათგან და ამიტომ წავიდნენ არჩევნებზე. როდესაც ეს საფუძველიც, ანუ ხელისუფლება გამოეცლებათ ნაციონალებს, მე მგონია, რომ მათი შედეგი მომავალში უფრო და უფრო განახევრდება და შესაძლოა მომავალში 5%-იანი ბარიერის გადალახვაც გაუჭირდეთ.

***— რაც შეეხება ახალ, ამჟამინდელ ხელისუფლებას, ვხედავთ როგორი ცვლილებებია, მალე გვეყოლება ახალი პრეზიდენტი, დასახელდა პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაც, რა ცვლილებებს გამოიწვევს ეს ყველაფერი ქვეყანაში? რას ელოდებით?***

— მე ინტერესით, მოლოდინით ვუყურებ ამ ყველაფერს. გარკვეული იმედებითაც, ვინაიდან კოაბიტაცია დამთავრდა. დამთავრდა იმით, რომ ორხელისუფლებიანობა ფაქტიურად აღარ არსებობს, ესეც აღარ იქნება უკვე ხელისშემშლელი ბევრი რამისთვის, პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენისთვის. თანდათანობით მე ველოდები, რომ ის ძველი პროკურორები და სხვა მაღალჩინოსნები, რომლებიც ძალიან ბევრს აშავებდნენ, რბილად რომ ვთქვათ, ზოგი სისხლის სამართლებრივი წესით აშავებდა, ზოგიც ადამიანური ქმედებებით, ისინი ნელ-ნელა ჩამოცილდებიან თავის პოსტებს და ეს აღარ იქნება შემაფერხებელი სამართლიანობის აღდგენისთვის. ეკონომიკაც თანდათან დაიწყებს აღმასვლას. მით უმეტეს, ამ ფონდში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა, საკმაოდ დიდი თანხაა მობილიზებული, თუ არ ვცდები, უკვე მილიარდამდე და კიდევ უფრო მეტს ელოდებიან. აქედან გამომდინარე, მე ველოდები პერსპექტივაში იმ მთავარი პრობლემის გადაჭრასაც, რასაც ჰქვია უმუშევრობა. ვნახოთ, თუ არ იქნება ისეთი, ზერელე მიდგომა, არ იქნება დაუდევარი მიდგომა და არ იქნება ისეთი მიდგომა, რომელიც მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე და საკუთარი ახლობლების დასაქმებისკენ იქნება მიმართული, მაშინ თანდათანობით ყველაფერი უნდა წავიდეს პროგრესისკენ. რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკაში სერიოზული პრობლემებია, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობაში გადასაწყვეტი და ეს დეოკუპაციის საკითხიც, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე ვხედავ, რომ პერსპექტივები არის. ვნახოთ, უახლოეს თვეებში გამოჩნდება, რისი შემძლეა ახალი ხელისუფლება.

***— ყველა თანხმდება იმაზე, რომ დასახელებული კანდიდატებიდან, ყველაზე კარგი კანდიდატურა იყო ღარიბაშვილის, თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— კი, პრინციპში ვიზიარებ ამას. ერთადერთი მინუსი, რაც აქვს ღარიბაშვილს, ეს არის მისი ასაკი. 31 წელი ძალიან პატარა ასაკია ამხელა ტვირთის წამოკიდებისთვის. მით უმეტეს, ჩვენ გამოცდილება გვაქვს მწარე, როდესაც ამ პატარა ბიჭ-ბუჭებმა რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა. თუმცა ღარიბაშვილი რაღაცა არ ჰგავს ასეთი ტიპის ადამიანს, ის უფრო სერიოზულია, უფრო მეტი პასუხისმგებლობიანია და იმედია, რომ ის გამონაკლისი იქნება და ამ ტვირთს აწევს. მით უმეტეს, მას გვერდში უდგანან საკმაოდ გამოცდილი ადამიანები მინისტრების სახით და პირველ რიგში, თვითონ ბიძინა ივანიშვილის სახითაც. მიუხედავად იმისა, რომ ის გადავიდა სამოქალაქო სექტორში და საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, არავის ილუზია არა აქვს, რომ მან ხელები დაიბანა ამ ყველაფერზე. მთავარი პასუხისმგებლობა ისევ და ისევ მის კისერზე და მის მხრებზეა.

***— ფიქრობთ, რომ დადებითი კუთხით ჩარევა ქვეყნის მართვაში...***

— რა თქმა უნდა, შესაძლოა არასაკადრო პოლიტიკაში, შეიძლება ამაში საერთოდ არ ჩაერიოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უხეში შეცდომების დაშვების საშუალებას არ მისცემს, თუნდაც როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. ჩვენც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ვართ, თქვენც, მეც, სხვა უფლებადამცველები, მაგრამ, რა თქმა უნდა, მის სიტყვას გაცილებით მეტი წონა ექნება ჩვენს სიტყვასთან შედარებით და აქედან გამომდინარე მე ვფიქრობ, რომ უხეში შეცდომების დაშვების საშუალებას ის არ მისცემს. რა თქმა უნდა, შეცდომები იქნება, მთავარია, ისეთი უხეში არ იყოს ეს შეცდომები, რომელიც ქვეყანას ზიანს მიაყენებს.

# ვანო მერაბიშვილი: „მე ვერ შევძელი ყველაზე მთავარი — ვერ დავიცავი ქართველი პოლიციელები“

შორენა გონგლაძე

**თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, ვანო მერაბიშვილის მხარდამჭერმა „თავისუფალი ზონის“ წევრებმა პერფორმანსი წარმოადგინეს. ყოფილი პრემიერის მხარდასაჭერად გამართულ ღონისძიებაზე პოლიციის ფორმაში იყვნენ ჩაცმული და დამნაშავეების დაკავების იმიტაციას პოლიციის ჰიმნის ფონზე ასრულებდნენ.**



„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა 26 მაისის საქმეზე პროკურორის აცილება მოითხოვა. მისი თქმით, ივანიშვილი და ღარიბაშვილი მასზე პირად ანგარიშსწორებას ახორციელებენ, რის გამოც კარგი იქნებოდა, თუ მოხდებოდა საქმეზე არსებული პროკურორების შეცვლა.

— ივანიშვილისა და ღარიბაშვილის ანგარიშსწორების გამო არ გაუფუჭონ კარიერა ამ ახალგაზრდებს, წავიდნენ ისინი და კარგი იქნება, თუ მოვა ასაკოვანი პროკურორი, რომელიც დღე-დღეზე პენსიაზე გავა და სირცხვილისა და დანაშაულის განცდა არ ექნება, — აცხადებს მერაბიშვილი. ბრალდების მხარემ დაცვის შუამდგომლობა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სასამართლო პროცესზე მერაბიშვილმა თავის ყოფილ თანამშრომლებს — პოლიციელებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მისთვის მათ გვერდით დგომა დიდი პატივი იყო. როგორც ყოფილმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, როცა შს მინისტრი გახდა, ეს უწყება „არშემდგარი სახელმწიფოს ყველაზე ბნელი და საშინელი სტრუქტურა იყო“.

— 2004 წლის ბოლოს, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი გავხდი, მე, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობას, ქართულ პოლიციასა და პოლიციელებზე ჩამოყალიბებული აზრი მქონდა — ეს იყო არშემდგარი სახელმწიფოს ყველაზე ბნელი და საშინელი სტრუქტურა. ეს სამინისტრო ასოცირდებოდა ადამიანების მასობრივი გატაცებისა და ფულის გამოძალვის ფაქტებთან. გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანებს იტაცებდნენ თბილისის ქუჩებიდანაც კი, თითქმის საჯაროდ, რაც ხშირად მძევლების გარდაცვალებით მთავრდებოდა. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ რამდენიმე გახმაურებული ფაქტი: 2002 წელს წყნეთიდან გატაცებული 14 წლის მარიამ გოგინაშვილი, კახა კალაძის ძმის გატაცება, ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცება, ესპანელი და არაბი ბიზნესმენების გატაცება, პეტრე ცისკარიშვილის და მისი მეგობრის გატაცება და სხვა. მაშინ არც ერთი ეს საქმე არ იქნა გახსნილი და მათი უმეტესობა სწორედ მაშინდელ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ასოცირდებოდა. ბოლო წლების ყველაზე დიდი სენი ნარკოტიკების მასობრივი გავრცელება იყო. არც ერთ ქვეყანაში ეს პრობლემა ისე დრამატულად არ იდგა, როგორც საქართველოში. 90-იანებიდან მოყოლებული, საქართველოში ბევრი ოჯახისთვის ეს პრობლემა მთავარ ტრაგედიად იქცა. მაშინ, 2004 წელს ყველამ იცოდა, რომ ნარკოტიკების გავრცელებას სწორედ შსს კურირებდა. უფრო მეტიც, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მათ შორის ბევრი ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი თავად იყვნენ ნარკოტიკების დეკლარირებული მომხმარებლები. დღეს ბევრი მათგანი ამ სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაბრუნდა. მათი გვარები და სახელები ყველამ მშვენივრად ვიცით. ამასთან, ყველაზე მძიმე იყო ის რეალობა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ახალგაზრდებში დასაძრახის ნაცვლად მისაბაძი მაგალითი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფი, ე.წ. „ობეხეესი“ წილს იღებდა ყველა საწარმოდან (დღეს ახალგაზრდების უმეტესობამ არც კი იცის ამ ტერმინის — „ობეხეესის“ მნიშვნელობა). თითქმის ყველას დაგვავიწყდა, თუ როგორ ხდებოდა მართვის მოწმობის აღება და მანქანის ან სანომრე ნიშნის გაფორმება. ქრთამის ან ე.წ. „ნაცნობობის“ გარეშე აღნიშნული პროცედურა არავის გაუვლია. ბევრს ჯერ კიდევ ახსოვს ჩვენს გზებზე რამის მათხოვრებად ქცეული „გაიშნიკები“, რომლებიც ღიად და საჯაროდ, თავისუფლების მოედანზეც კი, არ თაკილობდნენ ქრთამის აღებას, — ამბობს მერაბიშვილი, მისსივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის მოსვლამდე ე.წ. კანონიერი ქურდები ღიად მართავდნენ ქვეყანას.

— ჩემი თაობის ადამიანების უმრავლესობას ემახსოვრება ე.წ. „კაი ბიჭებისთვის“ „ობშიაკების“ შეგროვების და ქურდული გარჩევების საშინელი და დამამცირებელი ფაქტები. ხალხის მეხსიერებაში ამის ყველაზე სიმბოლურ ნიშნად პატიმარ „კანონიერ ქურდ“ ქურასბედიანის, იგივე „წრიპას“ ბოლო ბანაობა დარჩა. თუმცა, დღეს აღარ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მათი ბოლო ბანაობა იყო. ეს იყო დრო, როდესაც კარგი სახლები მხოლოდ ქურდებსა და პოლიციელებს ჰქონდათ. პოლიციის „რეიდებზე“ და არა მარტო „რეიდებზე“ მოქალაქეთა „შეყვნება“, განყოფილებაში წაყვანა, მათი ოჯახებიდან ფულის მოთხოვნა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. საქართველოში არ იყო არც ერთი ნორმალური პოლიციის შენობა. პოლიციის შენობების გათბობის ერთადერთი საშუალება აზბესტის მილზე გადახვეული სპირალი იყო. პოლიციის განყოფილებებში ადამიანების წამება და ფულის გამოძალვა ყოველდღიური მოვლენა იყო. პოლიციის განყოფილება ასოცირდებოდა მხოლოდ ნეგატიურთან. ყველაფერ ამას საქართველოში ვეძახდით „ძაღლობას“ და ეს სიტყვაც დიდი ხანია გაქრა ჩვენი ლექსიკონიდან. დაახლოებით ასეთი იყო, ბატონო მოსამართლევ, პროკურორებო და დამსწრე საზოგადოებავ, მაშინდელი შეხედულება პოლიციაზე. მაშინ რომ მეთქვა, თუ როგორ პოლიციას გადავაბარებდით ჩვენს შემცვლელებს 2012 წელს, ყველა გიჟად ჩამთვლიდა. მაშინ, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეთა უმეტესობას, მეც ვერ წარმოვიდგენდი, რომ პოლიციის რეფორმა შესაძლებელი იყო. რომ შესაძლებელი იყო იმ პოლიციიდან ამ პოლიციის შექმნა. ამ რეფორმებს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია და ათასობით მაშინდელმა პოლიციელმა, იშვიათ შემთხვევებში უსამართლოდაც დაკარგა სამსახური, სოციალური სტატუსი და სხვა სიკეთე, თუმცა მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, რომლებიც შევარდნაძის ეპოქას თან ახლდა, ჩვენ არც ერთი პოლიციელი შევარდნაძის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის, ხაზს ვუსვამ არც ერთი პასუხისგებაში არ მიგვიცია. ეს იყო ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ უფრო დიდი ამოცანების გადაჭრა დავისახეთ მიზნად. მე და ჩემმა მეგობრებმა, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, ვიცით, რომ რეფორმე ყოველთვის არაპოპულარულია. ყველა რეფორმიდან სარგებელს იღებს ზოგადად საზოგადოება, თუმცა მათ ჰყავთ კონკრეტული დაინტერესებული მოწინააღმდეგეები, — განაცხადა მერაბიშვილმა. მისი თქმით, პოლიციის რეფორმისას, მოქალაქეთა უმეტესობამ იგრძნო კონკრეტული სიკეთე, ხოლო რეფორმისგან დაზარალებული ჩინოვნიკები კი რეფორმის ავტორების პირადი მტრები გახდნენ.

— ბევრი შევარდნაძის დროინდელი ყოფილი ჩინოვნიკი დაბრუნდა დღევანდელ ხელისუფლებაში და ჩვენ წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებს სწორედ ისინი კურირებენ. ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაშია. ხალხი მათ ცხოვრების გაუმჯობესებისთვის კონკრეტულ შედეგებს სთხოვს. ხელისუფლებას ეჩვენება, რომ ჩვენი და მათ შორის ჩემი აჩრდილი დადის პოლიციაში და ამ აჩრდილის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ საშუალებად ჩემი და ჩემი მეგობრების დისკრედიტირება, დამცირება და შეშინება დაისახა. ეს კანონზომიერია. მაგრამ მე დღეს მინდა ხაზი გავუსვა ერთ ცუდ გარემოებას. დღეს არა მარტო ჩემი, რაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გასაგები იქნებოდა, არამედ სხვა დაბალი თანამდებობის პოლიციელების წინააღმდეგ მასობრივი დევნა ხორციელდება. ყველა ის ადამიანი, ვინც ხაზგასმით და დემონსტრაციულად არ გვემიჯნება, ხდება რეჟიმის მსხვერპლი. მინდა მივმართო იმ პოლიციელებს, რომლებიც დღეს ხელისუფლების ზეწოლას განიცდიან. მინდა მადლობა გადავუხადო, რომ ჩვენთან ერთად დაიჯერეს და გააკეთეს ყველაფერი, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ შეცვლილიყო. შეცვალეს პოლიცია, მოახდინეს საკუთარი თავის რეალიზაცია, თუმცა ამავე დროს უარი თქვეს იმ მატერიალურ სიკეთეზე, რაც შევარდნაძის ეპოქის ნორმა იყო. 2012 წელს ჩვენ გვყავდა საზოგადოების მხრიდან მთელს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნდობით აღჭურვილი პოლიცია. ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი და თითქმის შეუძლებელიც კი ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ მე ვერ შევძელი ყველაზე მთავარი — მე ვერ დავიცავი ქართველი პოლიციელები. ვერ დავიცავი როგორც ისინი, ვინც არ გატყდა და ამიტომ მათ წინააღმდეგ საქმეები აღიძრა და ვერ დავიცავი ასევე ისინიც, ვინც გატყდა და პროკურატურის დავალებით ცრუ ჩვენებებს იძლევა. მე ბოდიშს ვუხდი მათაც, ვინც განსასჯელის სკამებზე სხედან და მათაც, ვინც მათ წინააღმდეგ ჩვენებებს იძლევიან. თქვენ არ შეგშინებიათ მტრის და უკან არასოდეს დაგიხევიათ. თქვენ არ შეგშინებიათ ასლან აბაშიძის რაზმების და მათი მხარდამჭერი რუსული ბაზების, როდესაც აჭარაში შევდიოდით და ჩვენ შევინარჩუნეთ აჭარა, — განაცხადა მერაბიშვილმა. მისი თქმით, ეს ყველაფერი ირაკლი ფირცხალავას და მის მეგობრებს კარგად ახსოვთ.

— მინდა მოგმართოთ თქვენ და გითხრათ: ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენ გვერდით დგომა! მახსოვს, როგორ არ შედრკით კოდორის ოპერაციის დროს. მე დღესაც არ მავიწყდება ის გმირი პოლიციელები და ჯარისკაცები. ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენ გვერდით დგომა! მახსოვს, რამდენი მსხვერპლის გაღება მოგვიწია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ომამდე, ომის დროს და ომის შემდგომ, მუდმივი სროლების, დივერსიული აქტების და დაბომბვების ფონზე ჩვენი მოქალაქეების დაცვის დროს. რამდენი გმირობა გამოიჩინეთ ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, გორში, ქარელში და ხაშურში რუსული ჯარების მიერ ამ რაიონების ოკუპაციის დროს. საზოგადოებამ არ იცის და ალბათ ვერც ვერასოდეს გაიგებს, რამდენი რამის გაკეთება მოგვიწია ჩვენი მოქალაქეების დასახმარებლად და ღირსების შესანარჩუნებლად. ჩვენ გავაჩინეთ განცდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ისინი აქ დაუსჯელად ვერ იპარპაშებენ. რომ ქვეყნის ღალატი სულაც არ არის საამაყო. მართალია დღეს საქართველოს ციხეებში არც ერთი უცხო ქვეყნის აგენტი აღარ დარჩა და ისინი ამნისტიით გაათავისუფლეს, მაგრამ ამაზე გულს ნუ გაიტეხთ. თქვენ შექმენით პრეცედენტი, რომელიც მომავალი საქართველოსთვის წესად იქცევა. ბევრი შემიძლია ვისაუბრო თუ რამდენი ენერგია და ინტელექტი გაიღეთ, რომელიც თქვენ ჯერ სათანადოდ არ დაგიფასდათ. თქვენ ხომ ამას ჩვენი ქვეყნისთვის, ანუ ყველა ჩვენგანისთვის აკეთებდით. არასოდეს დამავიწყდება, როდესაც მართვის მოწმობების აღების, ავტომობილების და სანომრე ნიშნების სწრაფად გაფორმების სადემონსტრაციოდ უცხოელები მიგვყავდა მომსახურების სააგენტოში, როგორ ამაყობდნენ იქ მომუშავე გოგოები და ბიჭები, რომ ჩვენ მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი სისტემა გვქონდა. ძალიან ბევრი გმირული ქმედება განვახორციელეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სეპარატისტულად განწყობილი რადიკალების წინააღმდეგ. ჩვენ ხომ ვიცით, რამდენად რთული იყო ყველა პოლიტიკური და საერთაშორისო გარემოებების გათვალისწინებით მოქმედება. რამდენი სიფრთხილე და მოთმინება იყო საჭირო, რომ ქვეყნიდან უმტკივნეულოდ გასულიყო რუსული ბაზები და საქართველოში დამატებით ცხელი კერები არ გაჩენილიყო. თქვენ წარმატებით გაართვით თავი ამ ამოცანას. ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენ გვერდით დგომა! პოლიციელებისთვის ყველაზე რთული მაინც მოკრძალებული ხელფასების ფონზე ოჯახებში ყოველდღიური პრობლემების ღირსეულად გადატანა იყო. ოჯახის წევრებისთვის ბევრ მატერიალურ სიკეთეზე უარის თქმა გიწევდათ. ყველა თქვენგანს დიდი საბანკო ვალები დაგრჩათ. მიუხედავად გავრცელებული სტერეოტიპისა, რომ პოლიციელს მისი ხელმძღვანელობა ეხმარებოდა სოციალური პრობლემების მოგვარებაში, ჩემზე კარგად ვინ იცის, რომ ეს გაზვიადებული იყო და რეალურად ოჯახში მატერიალური და ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე ხშირად მარტონი რჩებოდით. ადვილია ერთჯერადი გმირობის ჩადენა, განსაკუთრებით თუ ამას დაფასება მოჰყვება. გაცილებით ძნელია გმირობის ტოლფასი ყოველდღიური რუტინული შრომა, რომელიც შეუმჩნეველი რჩება. მინდა მივმართო ერთ ჩვეულებრივ პოლიციელს, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ზაზა ჭაიას. ის ჩემამდეც მუშაობდა პოლიციაში, ჩემს დროსაც და წესით ჩემს შემდეგაც უნდა ემუშავა. მას არასოდეს უტრაბახია. არც მე და არც არავის მისი საქმიანობა არასოდეს გამოგვირჩევია. ის ჩემი პირადი მეგობარი არ ყოფილა. იგი რეალურად პოლიციაში ცხოვრობდა თავისი ახლობლებისა და ოჯახის წევრების ხარჯზე. მთელს თავის ენერგიას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას ახმარდა. ის ჩართული იყო ყოველდღიურ რუტინაში. ალბათ ბედნიერი იყო, რომ საყვარელ საქმეს აკეთებდა და ამით ახდენდა საკუთარი თავის თვითრეალიზაციას. ის არც ორდენებს იღებდა, არც პრეზიდიუმში იდგა აღლუმების დროს და არც ქვეყნის ხელმძღვანელობა იყენებდა მას როგორც მაგალითს. დღეს ეს ადამიანი პირადი შურისძიების მსხვერპლი გახდა. მან არნახული სიმტკიცე და გმირობა გამოიჩინა. მე მინდა ვთხოვო მას, რომ მომცეს უფლება მომავალში მისი მეგობარი ვიყო, — განაცხადა მერაბიშვილმა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ვეტერანები აქციებს იწყებენ

შორენა გონგლაძე

ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე გელა დოლიძე ძალოვან ვეტერანთა კავშირის ხელმძღვანელს, ნოდარ ცოტნიაშვილს სიცოცხლის ხელყოფით ემუქრება. ამის შესახებ ნოდარ ცოტნიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი განცხადებით, გელა დოლიძესა და მას შორის კონფლიქტი წარსულში არ ყოფილა, დოლიძის აგრესია ცოტნიაშვილის ობიექტივით გამოსვლამ გამოიწვია, სადაც ცოტნიაშვილი ამბობს, რომ ვეტერანთა დეპარტამენტსა და ვეტერანებს შორის უფრო მეტი კომუნიკაციაა საჭირო, რათა ის პრობლემები, რაც წლების მანძილზე ვეტერანების მიმართ დაგროვდა ეტაპობრივად გადაიჭრას. როგორც ცოტნიაშვილი ამბობს, ტელეეთერის დამთავრების შემდეგ მას გელა დოლიძე ტელეფონით დაუკავშირდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი მოკვლით დაემუქრა. ამ ინციდენტის შემდეგ ცოტნიაშვილმა მომხდარის შესახებ პოლიციას განცხადებით მიმართა, დაზარაებული სასამართლოში ჩივილსაც აპირებს, რადგანაც როგორც ნოდარ ცოტნიაშვილი ამბობს, ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან ვეტერანების შეურაცხყოფის არაერთ ფაქტს ჰქონია ამ ხნის მანძილზე ადგილი. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ვეტერანები გელა დოლიძის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით გამოსვლებს უახლოეს დღეებში დაიწყებენ, ხოლო მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ვეტერანებმა შიმშილობაც დაიწყონ.




როგორც პერსკონფერენციაზე ითქვა, ვეტერანთა დეპარტამენტს ძირითადად ნაციონალები და ის ადამიანები მართავენ, რომლებიც არაერთხელ კორუფციაში არიან მხილებულნი. მათივე თქმით, ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, თანამდებობაზე მოსვლისთანავე, სამსახურიდან ყველა კვალიფიციური კადრი დაითხოვა და მათ ადგილებზე საკუთარი ახლობლები დანიშნა. ვეტერანების თქმით, მათ ამ ყველაფერზე ხმა მანამ არ ამოიღეს, სანამ გელა დოლიძის ქმედება ყოველგვარ ზღვარს არ გასცდა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე ვეტერანთა დეპარტამენტში ვეტერანების სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, პირიქით, ვეტერანთა დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი გელა დოლიძე პრობლემებზე მისულ ვეტერანებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. ამას, მათი თქმით, პირად საუბრებში თავად ვეტერანთა დეპარტამენტში მომუშავე ადამიანებიც ადასტურებენ, თუმცა სამსახურის დაკარგვის შიშით ხმამაღლა ვერ საუბრობენ. ვეტერანები მიმართავენ თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ალასანიას და ახალ პრემიერს, რათა გელა დოლიძის მიმართ გადამჭრელი ზომები მიიღონ, მათი განცხადებით, მანამ გელა დოლიძე თანამდებობაზე რჩება, ვეტერანთა აქციები არ შეწყდება.

# მიხეილ ანთაძემ ნოოსფეროს შესახებ მოხსენება წაიკითხა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში მიხეილ ანთაძემ ნოოსფეროს შესახებ მოხსენება წაიკითხა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ გასულ წელს „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში მიხეილ ანთაძეს უმასპინძლა. როგორც მაშინაც ითქვა, იგი არამარტო ნოველისტი, რომანისტი, ესეისტი, რეჟისორი და მსახიობია, არამედ ფიზიკითაც არის გატაცებული. სწორედ მაშინ დაიბადა იდეა, რომ მას ამ სფეროში საჯარო ლექცია წაეკითხა.

მისივე თქმით, არსებობს ნოოსფეროს აკადემია, რომლის წევრიც მიხეილ ანთაძეა. ასევე გამოიცა წიგნი „ნოოსფერო“, რომლის ერთგვარი პრეზენტაციაც დღეს იმართება. და დაახასიათა ამ კრებულში შესული მისი ორი სტატია: „რა არის ტრანსდისციპლინარიზმი“ და „ორიოდე სიტყვა სინქრონისტულობის პრინციპის გამო“.

როგორც მიხეილ ანთაძემ განმარტა, ნოოსფერო გონებით მოცულ პლანეტას ნიშნავს და კრებულ „ნოოსფეროშიც“ სწორედ ამ საკითხზე მომზადებული პუბლიკაციებია შესული. ეს სამეცნიერო, მხატვრული, პუბლიცისტური თუ სხვა მასალები ნოოსფეროს აკადემიის დამფუძნებლის, ირინა კალანდაძის ინიციატივით წლების განმავლობაში გროვდებოდა.

„მეამაყება, დღეს ის მოძღვრება გადმოვცე, რასაც ირინა კალანდაძე ქმნიდა. ნოოსფეროს აკადემიაში 10 წლის წინათ მიმიყვანეს. ეს ისეთივე ინტელექტუალური კუნძული იყო, როგორიც „ჩვენი მწერლობის“ დარბაზია. აქ ადამიანები კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ და ნოოსფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობდნენ. ეს ინტელექტუალური პროცესი გახლდათ. ნოოსფერო არის მეტაფიზიკური თეორია, რომელიც მხოლოდ ფიზიკას არ ეხება. ნოოსფეროს მოძღვრება ორმა მეცნიერმა: ანდრე ლერუამ და პიარ დე შარდენმა — აიტაცა. ისმის კითხვა: რატომ არ შეგვიძლია, დღევანდელ დედამიწას ნოოსფერო ვუწოდოთ? — იმიტომ, რომ დღევანდელი კაცობრიობა მხოლოდ გონებრივი კანონებით არ ცხოვრობს“, — აღნიშნა მიხეილ ანთაძემ.

მან პოპულარულ ენაზე ისაუბრა იმ მიმართულებებზე, როგორებიცაა: ტორსიული ველების თეორია, ტრანსდისციპლინარიზმი და გამთლიანებული ცნობიერება. საინტერესოდ ახსნა აინშტაინის მოძღვრებასა და ნოოსფეროს შორის არსებული კავშირი.

როგორც როსტომ ჩხეიძემ ლექციის დასრულებისას აღნიშნა, მოხსენება ძალიან საინტერესო და უამრავი ინფორმაციით ისევე დატვირთული აღმოჩნდა, როგორც ღრუბელი წვიმით. ამის შემდეგ კი თემაზე მსჯელობა დიალოგის ფორმით გაგრძელდა. დარბაზში მყოფებმა მიხეილ ანთაძეს თემასთან დაკავშირებული კითხვები დაუსვეს.

როგორც ერთ-ერთმა გამომსვლელმა, პაატა ჩიქოვანმა აღნიშნა, იგი ნაწილობრივ გათვითცნობიერებულია იმ მოძღვრებაში, რაზეც ლექცია მოისმინა.

„პირველი ეფექტი სწორედ იმით იქმნება, რომ ამ მოძღვრებაზე ვსაუბრობთ მაშინ, როცა ქვეყანაში პირველ ლედიზე, არჩევნებზე, ლუკმა-პურსა და სხვა მსგავს თემებზე ლაპარაკობენ. თითოეული ჩვენგანი ამ მოხსენებაში ასახულ სიტუაციას საკუთარ თავში ვპოულობთ, მაგრამ აზროვნება ისე გვაქვს გადაკეტილი, რომ მას ჩვენი გონება აღარ იღებს. ის ჩიხშია მოქცეული“, — აღნიშნა პაატა ჩიქოვანმა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: პაატა ჩხეიძე, დალი კახიანი, თამარელა წოწორია, მანანა გაბაშვილი და თემურ ნადარეიშვილი, ფიზიკოსი და ლირიკოსი, ვისმა გამოსვლამაც შეავსო და შეაჯამა მიხეილ ანთაძის არაორდინარული მსჯელობა.

**ეკა ტუკვაძე**
**სააგენტო „მედიანიუსი“**

# თვითმმართველობის არჩევნებისთვის არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდება

ნათია ხურცილავა

**ახლა მთავარი კითხვა პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის ირგვლივ არის. პარლამენტს შიგნით უკვე ყველაფერი გარკვეულია. გაერთიანდება თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიცია? თუ გაერთიანდება, ვის გარშემო და ვინ იქნება ლიდერი?**

არასაპარლამენტო ოპოზიცია, არ არის გამორიცხული, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის გაერთიანდეს და მათ დედაქალაქის მერის არჩევნებისთვის საერთო კნადიდატი ჰყავდეთ.

კახა კუკავა არ გამორიცხავს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა შესაძლოა, კოალიციურ რეჟიმში მიიღოს.

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა კახა კუკავამ გუშინ სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

კახა კუკავა მიიჩნევდა, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში არასაპარლამენტო ოპოზიციას გაერთიანებული ძალით უნდა მიეღო მონაწილეობა და მათ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა ჰყოლოდა. სწორედ ამ იდეის ხელშეწყობის მიზნით კუკავას პარტიამ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატი არ დააყენა.

კუკავას განცხადებით „თავისუფალი საქართველო“ მოწადინებულია, რომ ყველა ჯანსაღი ძალა, რომელიც არასაპარლამენტო ოპოზიციაში არსებობს, გაერთიანდეს.

— საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენ ვთქვით, რომ პარტია არ დააყენებდა კანდიდატურას იმ მიზნით, რომ ხელი არ შეგვეშალა საერთო ოპოზიციური ერთობისათვის. მაშინ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი თავის გამარჯვებაში ქედმაღლურად იყო დარწმუნებული და კოალიციის შექმნაზე უარი თქვეს, რის შედეგადაც კატასტროფული შედეგი მიიღეს, „ნაციონალური მოძრაობა“ კი მეორე ადგილზე გავიდა. თვითმმართველობის არჩევნებისთვის ჩვენ საკუთარ თავზე ავიღებთ პასუხისმგებლობას, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ შექმნას ისეთი ფორმატი და გამოვიდეს ამ არჩევნებში ისეთი ფორმატით,



რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე და პირველი ადგილი გამორიცხული იყოს. გასათვალისწინებელია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თვითმმართველობის არჩევნებზე მეორე ადგილისთვის არ იბრძოლებს. — განაცხადა კუკავამ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი საარჩევნო კოდექსის რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ გამორიცხავს, რომ მმართველმა გუნდმა 81 პროცენტი აიღოს.

კახა კუკავა აცხადებს, რომ თუ გვინდა, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე მმართველმა პარტიამ 81% არ მიიღოს და ევროპული არჩევნები ჩატარდეს, მაშინ საარჩევნო რეფორმა დაუყოვნებლივ გასატარებელია.

კახა კუკავა თბილისის საკრებულოში მიმდინარე პროცესებზეც საუბრობს. საკრებულოს დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ სამარშრუტო ტაქსების ტენდერი, რომელიც როგორც ამბობენ, თავის დროზე კანონდარღვევით ჩატარდა, გაუქმდეს და ახალი ტენდერი გამოცხადდეს.

კუკავამ გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ თბილისის საკრებულო, სავარაუდოდ, სამარშრუტო ტაქსების ტენდერის შედეგების გაბათილების საკითხის განხილვას დაიწყებს.

როგორც თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა განაცხადა, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა.

— თქვენ გახსოვთ მიკროავტობუსის ტენდერებთან დაკავშირებული პერიპეტიები, რომელსაც ორი წლის წინ თბილისში მასობრივი აქციები ახლდა, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ მათი მოსაზრებები არ გაითვალისწინა. დღეის მდგომარეობით, ჩვენთვის ცნობილია, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა, ასევე, 50-თეთრიანი ტარიფის შენარჩუნებასთან დაკავშირებით პირობაც ვერ შეასრულეს.

კომპანიის მხრიდან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ექსპერტებიც საუბრობენ. სამარშრუტო ტაქსების მძღოლების გაფიცვის დროს ერთ-ერთი მოთხოვნა ტარიფის დაწევაც იყო, რომელიც ვერ შესრულდა. შესაბამისად 50 თეთრამდე ტარიფის დაყვანა კვლავ შეუსრულებელ ვალდებულებად რჩება.

— ხვალ ჩვენ ვიწყებთ კომისიურად ამ საკითხის მოთხოვნას და განხილვას. ალბათ, შევჯერდებით იმაზე, რომ საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას ტენდერის შედეგების გაბათილების შესახებ და ის ფინანსური კლანი, რომელიც სააკაშვილთან ერთად აკონტროლებდა დედაქალაქში სარფიანი ბიზნესის მნიშვნელოვან მიმართულებებს, მათ უნდა ჩამოერთვათ და უნდა მოხდეს ამ სატენდერო ლოტების ხელახლა გადანაწილება. — განაცხადა კახა კუკავამ.

კუკავა მიიჩნევს, რომ ახალი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, უპირატესობა მცირე მეწარმეებს უნდა მიენიჭოთ.

— მონოპოლიებისთვის ბიზნესის სხვადასხვა მიმართულების ჩაბარება უნდა დასრულდეს. — აღნიშნა კუკავამ.

# ვანო მერაბიშვილი: „მე ვერ შევძელი ყველაზე მთავარი — ვერ დავიცავი ქართველი პოლიციელები“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— მინდა, მივმართო კარალეთის სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთ წევრს. მის გვარს სპეციალურად არ ვასახელებ. მან, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი გმირობა ჩაიდინა, რაც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს. ეს ამბავი მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით. ეს ადამიანი ჩემთვის ყოველთვის დარჩება, როგორც გმირობის ეტალონი. მისი მაგალითი ძალას მმატებდა წლების განმავლობაში და მისი გმირობა არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან. იგი იმსახურებს ყველაზე დიდ სიკეთესა და პატივისცემას, რაც კი შეგვიძლია გამოვხატოთ მის მიმართ. მე მინდა მასაც ვუთხრა, რომ

ჩემთვის დიდი პატივი იყო მის გვერდით ყოფნა! მინდა მივმართო პატრულის თანამშრომლებს, რომელთა საქმიანობაზე ლამის ლეგენდებს ყვებოდნენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც. თქვენ, საზოგადოებისთვის უცნობო პოლიციელებო, დაანგრიეთ მითი, რომ პოლიცია არ შეიძლება ხალხს უყვარდეს. რუსულმა გრუმ ორი კონკრეტული პოლიციელის დაპატიმრებაზე ან ლიკვიდაციაზე საკმაოდ დიდი ჯილდო დააწესა. ისინი ზუგდიდში დისლოცირებული დანაყოფის ხელმძღვანელები იყვნენ — დიმიტრი კორძაძე და რომა შამათავა. ისინი ჩემამდეც მუშაობდნენ ამ სისტემაში. კორძაძე აჭარაში ასლან აბაშიძის რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო და 2004 წლიდან საქმიანობა ზუგდიდში განაგრძო. მე ვერ დავიცავი დიმიტრი კორძაძე, რომელიც 2010 წელს ქართველმა კრიმინალებმა რუსული ფულის სანაცვლოდ ბათუმში ააფეთქეს. მინდა ბოდიში მოვუხადო მის ოჯახს, რომ მე იგი ვერ დავიცავი. მინდა ბოდიში მოვუხადო რომა შამათავასაც, რომელიც დღეს უსამართლოდ არის დაკავებული. მე ბევრს არაფერს ვიტყვი ამ ადამიანის შესახებ. ბოდიში, რომ ვერც შენი დაცვა მოვახერხე. თუმცა, ყველაზე მეტად რაზეც მე ვნანობ, არის ის, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 40-ზე მეტი პოლიციელი დაიღუპა. მე ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე მათი დაცვა. მე ბოდიშს ვუხდი მათი ოჯახის წევრებს. მე ბოდიშს ვუხდი 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე დაღუპული ვლადიმერ მასურაშვილის დედას, ქალბატონ ანას, რომელიც დღეს აქ დარბაზში იმყოფება.

ჩემთვის დიდი პატივი იყო მის გვერდით დგომა!

მინდა ასევე ბოდიში მოვუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში გაუძლეს უდიდეს განსაცდელს, არ შეეშინდათ ტყვიის, ტერორის, მაგრამ დღეს გატყდნენ და იძულებული გახდნენ მათი თანამებრძოლების წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება. ბოდიში, რომ ვერ გიხსენით ამ ყველაზე დიდი განსაცდელისგან.

ჩემთვის მაინც დიდი პატივი იყო თქვენს გვერდით დგომა! დღეს, როდესაც ბევრი პოლიციელის წინააღმდეგ არის საქმე აღძრული, ბევრი განიცდის ზეწოლას, ბევრის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები ამ შენობაშიც მიმდინარეობს, მადლობელი ვარ განგების, რომ მაქვს პატივი დღესაც თქვენ გვერდით ვიჯდე, თუნდაც განსასჯელის სკამზე! თქვენ გვერდით დგომა ჩემთვის კვლავაც დიდი პატივია! ჩვენ ისტორიის წინაშე ეს პროკურორები ბრალს ვერ წაგვიყენებენ. ვერც ეს სასამართლო, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერ გაგვასამართლებს ისტორიის წინაშე. ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ ამ ეპოქით, რომ გავაჩინეთ პირველი პრეცედენტი პოლიციის რეფორმირების. ჩვენი განაჩენი ისტორიამ უკვე გამოიტანა. არც ჩვენს წინამორბედებს და არც ჩვენს შემცვლელებს ბედმა არ არგუნა ეს ბედნიერება. წლების შემდეგ არავის ემახსოვრება არც პროკურორის სიტყვა, არც პროკურორის ბრალდება, არც მოწმეების ჩვენებები, არც ჩემი დაცვის არგუმენტები და არც მოსამართლის განაჩენი. ჩვენს საქმიანობას შეაფასებენ ძალიან მოკლედ — „ჩვენამდე“ და „ჩვენ შემდეგ“, — განაცხადა მერაბიშვილმა.

# რას მოგვიტანს ჟენევის მოლაპარაკებები

ნათია ხურცილავა

შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი იწყება. ორდღიანი შეხვედრა ჟენევაში გუშინ გაიხსნა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს დელეგაციას ტრადიციულად საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი უხელმძღვანელებს.

შეხვედრის პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია განიხილავს რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების აღების აუცილებლობის საკითხს და ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის თაობაზე. მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მხარეები ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელებენ.

— საქართველოს დელეგაცია კიდევ ერთხელ გამოხატავს მკაცრ პროტესტს უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ სავალალო ვითარებასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში რუსეთის საოკუპაციო ჯარის არალეგალური პოლიტიკითა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გავლებისა და მიწათხრილების მოწყობით. — აცხადებს საგარეო უწყებაში.

საუბრის მთავარი თემა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები იქნება.

ქართული დელეგაცია საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში არსებულ ვითარებაზე აპირებს ყურადღების გამახვილებას. ეს ჟენევის ფორმატის 25-ე რაუნდია.



ჟენევის მოლაპარაკებებში ერთ-ერთი საკითხი ქართულ-აფხაზური საკითხი იქნება.

უკვე ცნობილია, რომ საქართველო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას არ გააფორმებს.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ ჩირიკბას განცხადებით, საქართველომ და აფხაზეთმა ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი, შესაძლოა, ჟენევის მოლაპარაკებების შემდგომ რაუნდზე მოაწერონ, რომელიც 17-18 დეკემბერს გაიმართება.

ჩირიკბას განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება თბილისისა და სოხუმის ურთიერთობაში.

— ჩვენი მიზანია, რომ აფხაზეთმა და საქართველომ მიაღწიონ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას, სხვა სიტყვებით — მშვიდობის შეთანხმებას. ჯერ ჩვენ ამისგან შორს ვართ, მაგრამ თუ ახლა განსახილველი შეთანხმება მიღებული იქნება, ეს აჩვენებს მხარეების მზადყოფნას შეთანხმებაზე. — აღნიშნავს ჩირიკბა.

ჟენევაში ჟენევის მოლაპარაკებების 25-ე რაუნდი იმართება. ქართული მხარე რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხს დღეს კიდევ ერთხელ დააყენებს. ასევე, ყურადღება გამახვილდება ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფლებში არსებულ ვითარებაზე, მავთულხლართების ინსტალაციაზე, ადამიანის უფლებების დარღვევასა და გადაადგილების შეზღუდვაზე. მოლაპარაკებები დღეს თანათავმჯდომარეების ერთობლივი განცხადებით დასრულდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი აცხადებს, რომ აღნიშნულ შეთანხმებას საქართველო არასდროს არ დათანხმდება.

— რა თქმა უნდა, ამას საქართველო არასდროს არ დათანხმდება. იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ეს არის არაღიარებული, ოკუპირებული ტერიტორიები. 2008 წლის კონფლიქტი იყო რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტი, ამიტომ ლოგიკურია თუ საქართველომ აიღო ცალმხრივად, იურიდიულად ვალდებულება ძალის არგამოყენებაზე, რუსეთმაც უნდა აიღოს. ეს იქნება ჩვენი ძირითადი სამომავლო გეგმა და უკან არ დავიხევთ. — აღნიშნა ზალკალიანმა.

# კონსერვატორიაში კამერული მუსიკის ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

7 ნოემბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი მერვედ გაიხსნება. ღონისძიებებს საქართველოს მუსიკალური საზოგადოება და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია წარმოადგენენ. ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური დახმარებით იმართება.

ფესტივალის პირველ დღეს კონსერვატორიის მცირე დარბაზში წარმოდგენილი იქნება ბრამსის, შუბერტის და შუმანის ნაწარმოებები, რომელსაც შეასრულებენ სანდრო სიდამონიძე (ჩელო), სერგო მარკოსიანი (ფორტეპიანო), ნატალია ქუთათელაძე (სოპრანო), ნინო წულუკიძე (ფორტეპიანო), თინათინ კიკნაძე (ფორტეპიანო), მარიამ ჩიკვაიძე (ალტი), ეკა ბოკუჩავა (ფორტეპიანო), ნათია გუგულაშვილი (ვიოლინო), ნინო ქოქრაშვილი (ალტი) და ლიზი რამიშვილი (ჩელო).

8 ნოემბერს ფესიტივალი კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაგრძელდება. ამ დღეს მსმენელისთვის დაუკრავს სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი კონსტანტინე ვარდელის (პირველი ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილის (მეორე ვიოლინო), ნოდარ ჟვანიას (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილის (ჩელო) შემადგენლობით. კონცერტზე შესრულდება ბეთჰოვენის დიდი ფუგა, გია ყანჩელის ნაწარმოები და შოსტაკოვიჩის სიმებიანი კვარტეტი №3 (ხუთ ნაწილად).

9 ნოემბერის კონცერტი გამოჩენილი ქართველი მევიოლინის მარინე იაშვილის ხსოვნას მიეძღვნება. მასში მონაწილეობას მიიღებს მევიოლინე ალექსეი ლუნდინი (მოსკოვი) და ნათელა იაშვილი-პოლიტკოვსკაია (ფორტეპიანო). ხსოვნის საღამოზე აჟღერდება ტარტინის, ბრამსის, იზაის, დებიუსის და რაველის ნაწარმოებები.

10 ნოემბერს ფესტივალი ქართულ ჯაზ ტრიოს დაემთობა. მსმენელისთვის დაუკრავს დავით მაზანაშვილი (ფორტეპიანო), ლაშა აბაშმაძე (ბას გიტარა) და ზაზა ცერცვაძე (დასარტყამი). კონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ნანა დიმიტრიადი და ნანა ავალიშვილი.

ფესტივალის დახურვის დღეს, 11 ნოემბერს, კონცერტზე დაუკრავენ ნინო კუპრეიშვილი (ფორტეპიანო), ნათია ბერაია (ფორტეპიანო), მანანა ქანთარია (ვიოლინო), ოთარ ჩუბინიშვილი (ჩელო) და ირინა ხოშტარია-ჯაიანი (ალტი). ფესტივალის დასკვნით საღამოზე მოცარტის, ბეთჰოვენისა და ბრამსის ნაწარმოებები შესრულდება.

14 ნოემბერს კონსერვატორია პოლონელ დირიჟორს პაველ კოტლას უმასპინძლებს. მსმენელისთვის დაუკრავს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტური სიმფონიური ორკესტრი. მათთან ერთად ღონისძიებაში ჩართვებიან სოოლისტები სალომე ჯიქია (სოპრანო) და კონსერვატორიის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი მარიამ მეძმარიაშვილი (ფორტეპიანო,) პედაგოგი პროფესორი მანანა დოიჯაშვილი. ორგანყოფილებიან საღამოზე შესრულდება ვიტოლდ ლუტოსლავსკის პატარა სიუიტა, კამერული ორკესტრისთვის, სილეზიური ტრიფტიქი სოპრანოსა და ორკესტრისთვის, ვარიაციები პაგანინის თემაზე ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის და სიმფონია №1.

# პაატა ბურჭულაძე თსუ-ს სტუმრობდა

ეკა ირემაშვილი

ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა. ამის მიზეზი მახათას მთაზე დაწყებული ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარია. როგორც უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, შეხვედრაზე განიხილულ იქნა საკითხი, თუ რა სახით მიიღებს მომავალში უნივერსიტეტი მშენებლობაში მონაწილეობას.

საოპერო მომღერალმა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორსა და პროფესორ-მასწავლებლებთან მოაწყო. პაატა ბურჭულაძე საქველმოქმედო ფონდის „ივერიისა" ხელმძღვანელია. სწორედ ეს ფონდი ხელმძღვანელობს მახათას მთაზე ისტორიულ მშენებლობას, რომელიც მარტო ტაძარს არ მოიცავს. მახათას მთაზე განთავსდება სარეაბილიტაციო ცენტრი და სხვადასხვა დაწესებულებები. მახათას მთაზე ტაძრის შენებლობას საფუძველი 2010 წელს ფონდ „ივერიისას" თაოსნობით ჩაეყარა და მასში მონაწილეობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

მომღერალი ეტაპობრივად ხვდება ქართველ საზოგადოებას როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში და ნებისმიერ მსურველს აცნობს წესებს, თუ როგორ შეუძლია ჩაერთოს ამ საშვილიშვილო ტაძრის მშენებლობის საქმეში, რადგან, როგორც მისი უწმინდესობა ილია მეორე აღნიშნავს, ეს იქნება ტაძარი, რომელსაც ყველანი ერთად ავაშენებთ და ის ჩვენი ქვეყნის ავტოპორტრეტს შექმნის.



პაატა ბურჭულაძემ უნივერსიტეტში სტუმრობამდე საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „იავნანა" ეგიდით მორიგი კონცერტი გამართა. დიდ საკონცერტო დარბაზში ვითიბი ბანკისა და იტალიის საელჩოს მონდომებით ჯუზეპე ვერდის 200 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კონცერტი ჩატარდა, სადაც შესრულდა დიდი კომპოზიტორის მიერ ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების მოტივებზე შექმნილი ოპერა „რიგოლეტო". პაატა ბურჭულაძის მოწვევით კონცერტში მონაწილეობისთვის თბილისში ჩამოვიდა აღიარებული ესპანელი ბარიტონი, რიგოლეტოს პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი ხუან ხესუს როდრიგესი. აგრეთვე, ვალენსიის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და არენა დი ვერონას მოწვეული მთავარი დირიჟორი ომერ მეირ ველბერი. საიუბილეო საღამოში ასევე მონაწილეობდნენ სოლისტები ხუან ხოსე როდრიგესი, მზია ნიორაძე, რამაზ ჩიკვილაძე, ოთარ ჯორჯიკია და მარიამ ნაჭყებია. ასევე საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა,

რეჟისორი დავით საყვარელიძე. პროექტის მხარდაჭერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და თბილისის მერიამ ითავეს. კონცერტის დასასრულს ფონდმა 4 ოჯახს სახლის გასაღები გადასცა და უკვე აქტიურად დაიწყო მზადება 3 მარტისთვის, რადგან ეს ფონდის დაბადების დღეა და მას დაარსებიდან 10 წელი უსრულდება.

# როდის დაიდგმება ოპერა ერეკლე მეფეზე?

ეკა ირემაშვილი

როდის დაიგმება ოპერა ერეკლე მეფეზე? – ამ კითხვით „ახალმა თაობამ" ოპერის ავტორს, კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილს მიმართა. ოპერა, რომელიც 7 წლის განმავლობაში თაროზე იყო შემოდებული, შესაძლოა უახლოეს მომავალში ქართველმა საზოგადოებამ ღია ცის ქვეშ იხილოს.

7 ნოემბერი ქართველი მეფის ერეკლე მეორის დაბადების დღეა. ამ თარიღს ოპერის ავტორი დიდი მოწიწებით აღნიშნავს და მიაჩნია, რომ ერეკლე მეფე ქართველებისთვის ერთ-ერთი გამორჩეული მეფეა, რადგან მან ქართველებს მართლმადიდებლობა შეუნარჩუნა. „ხვედრი მეფისა" – ასე ეწოდება ოპერას, რომელიც ნოდარ ნიკოლაიშვილმა ქართველ მეფეს მიუძღვნა. კომპოზიტორი იმედით ხვდება მეფის დბადების დღის თარიღს და სჯერა, რომ ადრე თუ გვიან, მის მიერ დაწერილი ოპერა აუცილებლად დაიდგმება.

ვინ და რატომ ბლოკავდა ოპერას და მის ავტორს ამდენი წლის მანძილზე და რა გეგმები აქვს კომპოზიტორს, ამ საკითხებზე ნოდარ ნიკოლაიშვილი „ახალ თაობას" ესაუბრა.

**ნოდარ ნიკოლაიშვილი:**

– იმედის ნაპერწკალი გამოჩნდა, დაინტერესდნენ ადამიანები ჩემი ოპერით, მათ ალალად თქვეს, რომ არ ვიცოდით ასეთი ოპერა თუ არსებობდა და აუცილებლად დაგეხმარებითო. მათ ვინაობას ჯერჯერობით ვერ გავამხელ. მანამდე ჩემმა ერთმა ახლობელმა მოიკლა თავი და შეკრიბა მთელი დოკუმენტაცია ლიბრეტოები, ჩანაწერები, დისკები და კულტურის სამინისტროს ჩააბარა იმის საფუძველზე, რომ გამოვიდა მინისტრის მოადგილე და ბრძანა, 3 მილიონი გვაქვს და თუკი ვინმეს რამე ეროვნული პროექტები გაქვთ, მოგვიტანეთო. წინა მთავრობაზე გაბრაზებული ვიყავი, რადგან მთელი მათი პერიოდი დაბლოკილი ვიყავი, ახლა კი იმედის თვალით შევყურებ ახალ მთავრობას. თავიდან გადავწყვიტე, არც ახლა მიმეტანა, რადგან ახალია მთავრობა და სიტუაციაც ქვეყანაში ჯერჯერობით დაულაგებელია. რადგან ჩემმა მეგობრებმა უჩემოდ აიღეს და წაიღეს, რეგისტრაციაშიც გაატარეს, ვიფიქრე, ჯანდაბას, იყოს კულტურის სამინისტროში-მეთქი. უკვე გავიდა ორი თვე. მიმაჩნია, რომ ჩემი ოპერა ნამდვილად ეროვნულია, ამაზე ეროვნული არ მინახავს და თუ აკეთებენ და არ ვიცი, ეს უკვე სხვა საქმეა. ტელევიზიის ეთერითაც მივმართე კულტურის სამინისტროს და ვთხოვე გამარკვიონ, საბოლოოდ აკეთებენ თუ არა, რომ ვიცოდე ზუსტი პასუხი. მითხრან, რომ ამაზე უფრო პრიორიტეტული რაღაცეებიც არსებობს და მე ჩემს რიგს დაველოდები. მერე სულ სხვანაირად დავიწყებ ფიქრს და რაღაც გამოჩნდება. თუ ცოცხალი აღარ ვიქნები, დავტოვებ პარტიტურას, ჩემი შვილები ან შვილიშვილები გააკეთებენ, ვიცი, რომ მერე მაინც დადგამენ, მაგრამ მინდა, რომ ამ ოპერის დადგმას სიცოცხლეშივე მოვესწრო.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# განცხადებები

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის პროდუქტებით უოპერაციოდ ვმკურნალობთ მასტოპათიას, საკვერცხის კისტას, მიომას, ბუასილს, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულს, კვანძოვან ჩიყვს, ნაღვლის ბუშტსა და თირკმლის კენჭოვან დაავადებებს, ნევროზს, კოლიტს, დისბაქტერიოზს, დიაბეტს, ეპილეფსიას, ენურეზს. ტელ: 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● მთლიანი ორგანიზმის ფუნქციონალური დიაგნოსტიკა, დგინდება ორგანიზმში პათოლოგიური პროცესების არსებობა, ასევე სიმსივნის ადრეული სტადიები, შემდეგ ინიშნება მკურნალობა მცენარეული პრეპარატებითა და ფუტკრის პროდუქტებით. 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულებისმოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბრის ტესტებისთვის მზადება დაიწყო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ნოემბრის ტესტებისთვის ემზადება. ქართველი „ბორჯღალოსნები" ნოემბერში სამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გამართავენ. მილტონ ჰეიგის გუნდი კანადის, აშშ-ს და სამოას ნაკრებებს დაუპირისპირდება. ქართველი მორაგბეები „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე მოსამზადებელ შეკრებაზე გადავიდნენ.

ახალზელანდიელმა სპეციალისტმა ტრამვების გამო რამდენიმე წამყვანი მორაგბე ვერ გამოიძახა. შეკრების მეორე დღეს ვარჯიშზე თითი მოიტეხა მესამეხაზელმა დიმიტრი ბასილაიამ და ნაკრებს მის გარეშე თამაში მოუწევს. ბასილაიას დაახლოებით თვენახევარი გაუცდება.

„ბორჯღალოსნებმა" გუშინ მორიგი ვარჯიში გამართეს. ჰეიგის გუნდს პირველი ტესტმატჩი 9 ნოემბერს კანადის ნაკრებთან მოუწევს, რომელსაც „დინამო არენაზე" ეთამაშება. 16 ნოემბერს საქართველოს და აშშ-ს ნაკრების მატჩი რუსთავის სარაგბო სტადიონზე ჩატარდება, 23 ნოემბერს კი „ბორჯღალოსნები" სამოას ნაკრებს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებენ. კანადასთან და სამოასთან მატჩები 16:30 საათზე დაიწყება, ამერიკასთან კი 14:00 საათზე.

სამივე მატჩის ბილეთების გაყიდვა 5 ნოემბრიდან დაიწყო. ყველა ტესტმატჩის ბილეთები დინამო არენისა და მიხეილ მესხის სტადიონის სალაროებში გაიყიდება. საქართველოსა და აშშ-ს მატჩის ბილეთების შეძენა ასევე შესაძლებელი იქნება რუსთავის სარაგბო სტადიონზე. ბილეთების შეძენა შესაძლებელი იქნება 11:00-დან 18:00 საათამდე.

მატჩის დღეებში – 9, 16 და 23 ნოემბერს ბილეთების გაყიდვა დაიწყება 11:00 საათზე და დასრულდება მატჩის დაწყებამდე. ნოემბრის ტესტ-მატჩების ბილეთები 1 და 3 ლარი ეღირება. გამონაკლისია საქართველოსა და აშშ-ს მატჩი, რომელიც 3.000 მაყურებელზე გათვლილ რუსთავის სარაგბო სტადიონზე გაიმართება, ბილეთის ფასი კი 3 ლარია.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა:

პირველი ხაზი: დავით ხინჩიგაშვილი (რასინგ მეტრო, საფრანგეთი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (ბანიერი, საფრანგეთი), შალვა მამუკაშვილი (არმია), რევაზ ბელქანია (ლელო), დავით ქუბრიაშვილი (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი, საფრანგეთი);

მეორე ხაზი: კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (ტარბი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი);

მესამე ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი);

9-10: გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბანიერი, საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე (ლელო);

უკანა ხაზი: მერაბ შარიქაძე (ბურგ-ან-ბრესი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (ბურგ-ან-ბრესი, საფრანგეთი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი).

# ბესიკ ლიპარტელიანი: გამოაშკარავდა ახვლედიანის მორიგი ტყუილი

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში მდებარე ფიბა-ს შტაბბინაში გაიმართა შეხვედრა ამ ორგანიზაციისა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის.

ფიბა-ს გენერალურ მდივანთან, პატრიკ ბაუმანთან და ფიბა-ს განვითარების მენეჯერ ზორან რადოვიჩთან საქმიანი შეხვედრა ჰქონდათ ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანსა და გენერალურ მდივან მერაბ რატიშვილს.

შეხვედრის დეტალებზე ჩვენი ფედერაციის მხრიდან მისი მონაწილეები საუბრობენ:

– ეს იყო მორიგი საქმიანი შეხვედრა, რომელსაც ადგილი ყოველწლიურად აქვს. ფიბა-ს ხელმძღვანელობას ჩავაბარეთ ტრადიციული ანგარიში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების, მათი ევროპის ჩემპიონატებზე გამოსვლის, ეროვნული ჩემპიონატის, ფიბა-სა და ფიბა-ევროპის პროგრამების საქართველოში განხორციელების შესახებ. საუბარი შეეხო რამდენიმე სამართლებრივ ასპექტს, რომელთა დამახინჯებას საქართველოში გარკვეული დაჯგუფებები ცდილობენ. პირველ რიგში, რაც ჩვენთვის იყო მოულოდნელი, ფიბა-მ წარმოგვიდგინა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ 2012 წლის 4 და 5 დეკემბერს საკალათბურთო კლუბებს „შსს-აკადემიას" და „არმიას" – დაქირავებული ბელგიელი ადვოკატის საშუალებით მიუმართავთ ფიბა-სთვის, რათა ამ უკანასკნელს ეწარმოებინა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წესდების რედაქციასთან დაკავშირებით მონიტორინგი და აუდიტი. ფიბა-მ ძალიან მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად უპასუხა, რომ წესდებასთან მიმართებაში ყველაფერი წესრიგშია და ამ საკითხთან დაკავშირებით ფიბა აღარ შეეწუხებინათ, რადგან ეს არის მხოლოდ მისი და მისი წევრი ეროვნული ფედერაციის განსახილველი და შესათანხმებელი საკითხი. ფიბა-მ ასევე მოუწოდა დაინტერესებულ მხარეს, ეთანამშრომლა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, თუკი რამე კონკრეტული საკითხი ჰქონდა და ყოველივე მასთან განეხილა. ამ ნაბიჯიდან ცხადი ხდება, რომ დაინტერესებულ ჯგუფს თავიდანვე ჰქონდა არჩეული ტყუილის გზა, რითაც შეცდომაში შეიყვანდა სხვადასხვა საკალათბურთო სტრუქტურას. გასული დეკემბრიდან კლუბების მიმართ განხორციელებულმა მიზანმიმართულმა დეზინფორმაციამ, სამწუხაროდ, მათი უმეტესობა შეცდომაში შეიყვანა. ახლა, როცა ყველაფერი ნათელი გახდა, გვსურს, მივმართოთ კლუბებს, რომ მომავალში, სანამ გადადგამენ რაიმე ნაბიჯს, კარგად აწონ-დაწონონ მისი მიზანშეწონილობა და გამოიჩინონ კეთილგონიერება და პასუხისმგებლობა ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ. ფიბა-ს ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე „ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოს", რომლით ცრუ აპელირებითაც მერკანტილური მიზნებით შექმნილი ორგანიზაციის – „კალათბურთელთა კავშირის" თავმჯდომარე, ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მიხეილ ახვლედიანი დიდი ხნის მანძილზე ახდენდა ტყუილების ტირაჟირებას და ურცხვად აცხადებდა, რომ ეს სახელმძღვანელო არის კანონი და არა რეკომენდაციები. ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა პატრიკ ბაუმანმა პირდაპირ მიგვითითა ამ სახელმძღვანელოს წანამძღვარზე, სადაც შავით თეთრზე წერია: პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ ფიბა-ს ახალი სახელმძღვანელო ეროვნული ფედერაციებისთვის. ამ დოკუმენტის მიზანია დახმარების გაწევა თქვენი ეროვნული ორგანიზაციისათვის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაში, კონკრეტული რჩევების შეთავაზებით სხვადასხვა მიმართულებით... ეს დოკუმენტი გთავაზობთ მეგობრულ რჩევებს, რომლებიც თქვენ დამხმარე ინსტრუქციების სახით შეგიძლიათ გამოიყენოთ ყოველდღიურ მუშაობაში. ამიტომ ისარგებლეთ ამ სახელმძღვანელოთი თქვენთან არსებულ გარემოზე მისადაგებით და ახალ დონეზე გადაიყვანეთ თქვენი ორგანიზაცია, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხალისით გააკეთეთ ეს! ამით ნათლად გამოაშკარავდა ახვლედიანის მორიგი ტყუილი, რომელიც ცდილობს, ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი გზით, ხელში ჩაიგდოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი.

ვნახოთ, რა პასუხს გასცემს საქართველოს კალათბურთის ფედერაციას პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ ახვლედიანი.

# ბაიერნი, სიტი და რეალი პლეი ოფშია, პსჟ-მ საქმე გადადო

## ა ჯგუფი

**შახტარი-ლევერკუზენი 0:0**

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, რაკიცკი, შევჩუკი, ფერნანდო, ჰუბშმანი, დუგლას კოსტა (ტაისონი 78), ალექს ტეიშეირა, ბერნარდი (ილსინიო 65), ფერეირა (ადრიანო 78)

**ლევერკუზენი:** ლენო, დონატი, სპაჰიჩი, თორფაქი, ბოენიში, ბენდერი, როლფესი, კასტრო (ჩანი 69), სონი (ჰეგელერი 78), კისლინგი, სამი (კრუზე 90)

ლევერკუზენული მატჩისგან განსხვავებით ამჯერად სრულ უპირატესობას „შახტარი" ფლობდა, მაგრამ ფარამცევტთა მეკარე ლენო სასწაულებს ჩადიოდა და ისეთი ბურთები მოიგერია, გარდაუვალი გოლი რომ ჩანდა. „შახტარმა" ვერმოგებით გაირთულა საქმე, რადგან ბოლო მატჩი მანჩესტერში აქვს სათამაშო.

**სოსიედადი-მანჩესტერი 0:0**

69-ე წუთზე ვან პერსიმ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (ძელი)

**სოსიედადი:** ბრავო, კ.მარტინესი, გონსალესი, ი.მარტინესი, დე ლა ბელა, ბერგარა, პარდო (პრიეტო 72), სურუტუსა, ველა, აგირეჩე (კასტრო 64), გრიზმანი (სეფეროვიჩი 80)

**მანჩესტერი:** დე ხეა, სმოლინგი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, ფელაინი, გიგზი, კაგავა (ჯონსი 90), რუნი (ვან პერსი 63), ერნანდესი (იანგი 64)

**გაძევება:** ფელაინი 90

სან სებასტიანში მასპინძლები მოგების შემთხვევაში მინიმალურ შანსს ინარჩუნებდნენ, რათა ბრძოლა ევროპის ლიგაზე მაინც გაეგრძელებიათ, ფრის შემთხვევაში კი საქმე გაირთულეს. საქმე არც „მანჩესტერს" აქვს აწყობილი, გუნდი წელს ისეთ ფორმაში ვერ არის, რომ ყველა მატჩში ფავორიტის რანგში იყოს. მანჩესტერელებს საქმის გადაწყვეტა სან სებატიანშივე შეეძლოთ, მაგრამ რობინ ვან პერსიმ ჯერ ცარიელ კარში ვერ გაიტანა, შემდეგ პენალტიც ვერ გამოიყენა – ორივე შემთხვევაში ბურთი ძელს მოხვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 2.ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| 3.შახტარი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| 4.სოსიედადი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

## ბ ჯგუფი

**იუვენტუსი-რეალი 2:2**

1:0 ვიდალი (42, პენ), 1:1 რონალდუ (52), 1:2 ბეილი (60), 2:2 ლიორენტე (65)

**იუვენტუსი:** ბუფონი, კასერესი, ბარძალი, ბონუჩი, ასამოა, ვიდალი, პირლო, პოგბა, ტევესი (კვალიარელა 82), ლიორენტე (ჯოვინკო 88), მარკიზიო

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, ვარანი, პეპე, მარსელო, ხედირა, ალონსო (ილიარამენდი 71), მოდრიჩი, ბეილი (დი მარია 75), ბენზემა (ხესე 81), რონალდუ

„იუვენტუსს" აუცილებლად სჭირდებოდა მოგება, ეს ვერ მოახერხეს და ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტი ცხრილის ფსკერზეა. ანტონიო კონტეს გუნდმა პირველი ტაიმი მოიგო – 42-ე წუთზე ვიდალმა თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა. ეს იყო მე-13 პენალტი, რომელიც „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაზე გაუშვა. ამ მაჩვენებლით, მადრიდელები აქამდე რეკორდსმენ „არსენალს" გაუტოლდნენ. რეკორდები ამით არ დამთავრებულა: „რეალმა" მოსკოვის „სპარტაკის" მიერ 1991-95 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა და ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ მე-20 გასვლით მატჩში გაიტანა. ჯგუფურ ეტაპზე გატანილი გოლების მიხედვით, რუდ ვან ნისტელროის, ფილიპო ინძაგისა და ერნან კრესპოს რეკორდი (8 გოლი) გაიმეორა კრიშტიანუ რონალდუმაც. გარდა ამისა, პორტუგალიელი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც კალენდარული წლის განმავლობაში, ჩემპიონთა ლიგაზე თავი 14-ჯერ გამოიჩინა.

მადრიდელთა მეორე გოლი რონალდუს პასით გარეთ ბეილმა გაიტანა, მაგრამ ესპანელებს გამარჯვება თანამემამულე ფერნანდო ლიორენტემ არ დააცადა და ანგარიში გაათანაბრა.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსსა" და „რეალს" შორის გამართულ შეხვედრებში აქამდე ფრე არ იყო დაფიქსირებული.

**კოპენჰაგენი-გალათასარაი 1:0**

1:0 ბრაატენი (6)

**კოპენჰაგენი:** ვილანდი, იაკობსენი, მელბერგი, სიგურდსონი, ბენგტსონი, გისლასონი (ბოლანიოსი 56), კლაუდემირი (მარგრეიტერი 87), დელენი, ბრაატენი, იორგენსენი, ტუტუჰი (კრისტენსენი 76)

**გალათასარაი:** ისკანი, ებუე, კაია (ბულუთი 76), შეჯუ, რიერა, ბრუმა, ინანი, მელო, ა.ილმაზი (გულსელამი 63), ბ.ილმაზი (ამრაბათი 82), დროგბა

„კოპენჰაგენმა" „გალათასარაი" დაამარცხა და პლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა, თუმცა, „იუვენტუსი" ჯერაც ფავორიტად მოიაზრება. ერთადერთი გოლი ბრაატენმა მატჩის დასაწყისში გაიტანა და დანიელებმა მოახერხეს მისი ბოლომდე შენარჩუნება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:4 | 10 |
| 2.გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:10 | 4 |
| 3.კოპენჰაგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| 4.იუვენტუსი | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | 3 |

## ც ჯგუფი

**პსჟ-ანდერლეხტი 1:1**

0:1 დე ზეუვი (68), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (70)

**პსჟ:** სირიგუ, ვან დერ ვილი, ალექსი, მარკინიოსი (სილვა 62), მაქსველი, მატუიდი, მოტა, ვერატი (მენეზი 76), ლუკასი, ლავესი (პასტორე 75), იბრაჰიმოვიჩი

**ანდერლეხტი:** კამინსკი, ვანდენ ბორე, მბემბა, კუიატე, დეშახტი, კლიესტანი, მილივოიევიჩი, პრაეტი (აშემპონგი 79), დე ზეუვი (ნუიტნიკი 90), ნსაკალა, მიტროვიჩი (ტიელემანსი 87)

**გაძევება:** კლიესტანი 82

დღის ყველაზე დიდ მოულოდნელობად „პარი სენ ჟერმენის" მიერ „ანდერლეხტთან" გამართულ საშინაო მატჩში ქულების დაკარგვა იქცა. მოგების შემთხვევაში, ლორან ბლანის გუნდი მერვედფინალის საგზურს ინაღდებდა, მაგრამ უნიათოდ გაისარჯნენ და საქმე სამომავლოდ გადადეს.

**ოლიმპიაკოსი-ბენფიკა 1:0**

1:0 მანოლასი (13)

**ოლიმპიაკოსი:** ხიმენესი, სალინო, მანოლასი, სიოვასი, ჰოლებასი, მანიატისი, სამარისი, იატაბარე (ნდინგა 56), სავიოლა (დომინგესი 46), ფუსტერი (ბონგი 74), მიტროღლუ

**ბენფიკა:** მორაესი, პერეირა, ლუიზაო, გარაი, სილვიო, პერესი, მატიჩი, ამორიმი (კავალეირო 78), გაიტანი, მარკოვიჩი (დურიჩიჩი 74), კარდოსო (ლიმა 71)

„ოლიმპიაკოსმა" პლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა და ეს დიდწილად მეკარე ხიმენესის დამსახურებაა, რომელმაც 10-ჯერ მაინც იხსნა მისი გუნდი გაშვებული გოლისგან. პორტუგალიელებს მცირე შანსი აქვთ, მაგრამ უფრო ევროპის ლიგაზე უნდა გადაიტანონ ყურადღება.

**სატურნირო ცხრილი:**

1.პსჟ 4 3 1 0 13:2 10
2.ოლიმპიაკოსი 4 2 1 1 6:5 7
3.ბენფიკა 4 1 1 2 3:5 4
4.ანდერლეხტი 4 0 1 3 1:11 1

## დ ჯგუფი

სიტი-ცსკა 5:2

1:0 აგუერო (3პ), 2:0 აგუერო (21), 3:0 ნეგრედო (30), 3:1 დუმბია (45), 4:1 ნეგრედო (51), 4:2 დუმბია (71პ), 5:2 ნეგრედო (90)

**სიტი:** პანტილიმონი, საბალეტა, ნასტასიჩი, დემიკელისი, კლიში, ფერნანდინიო (მილნერი 46), ტურე, ნასრი (ნავასი 77), აგუერო, სილვა (კოლაროვი 66), ნეგრედო

**ცსკა:** აკინფეევი, ნაბაბკინი, ა.ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შენიკოვი, მილანოვი (ელმი 46), ვერნბლუმი, მუსა (ზუბერი 45), ჰონდა (ვიტინიო 79), ტოშიჩი, დუმბია



„სიტი" არმიელთა რბევას საწყისი წუთებიდანვე შეუდგა. „ქალაქელებს" ყველაფერი გამოსდიოდათ შეტევაში და 5 გოლიც გაიტანეს. ორჯერ ამის შანსი მეტოქესაც მისცეს, მაგრამ ისე, რომ გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ.

ჰო, „მანჩესტერ სიტი" გახდა მე-3 ინგლისური გუნდი „არსენალისა" და „ჩელსის" შემდეგ, რომელსაც, ჩემპიონთა ლიგის მატჩში, სასტარტო შემადგენლობაში არც ერთი ინგლისელი არ ჰყავდა.

**პლზენი-ბაიერნი 0:1**

0:1 მანჯუკიჩი (65)

**პლზენი:** კოზაჩიკი, რაიტორალი, სისოვსკი, პროჩაზკა, ჰუბნიკი (რეზნიკი 71), ჰორავა, ჰორვატი, პეტრჟელა, კოლარი, დურიში (პოსპისილი 84), ტეცლი (ბაკოში 87)

**ბაიერნი:** ნოიერი, რაფინია, ვან ბუიტენი, კონტენტო, ალაბა, ლამი, მიულერი (მანჯუკიჩი 59), შვაინშტაიგერი (მარტინესი 59), კროოსი, რიბერი, გიოტზე (ვაიზერი 87)

დიდი უპირატესობის მიუხედავად, გვარდიოლას შეგირდებმა მინიმალური სხვაობით იმარჯვეს, თუმცა მანჯუკიჩის გოლი ლიგაზე ზედიზედ მე-9 თამაშის მოგებისთვის და „ბარსელონას" რეკორდის გამეორებისთვის საკმარისი მაინც იყო. და, „ბაიერნი" უკვე პლეი ოფშია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:1 | 12 |
| 2.სიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 9 |
| 3.ცსკა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:12 | 3 |
| 4.პლზენი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| პლზენი-ბაიერნი | 0:1 |
| სიტი-ცსკა | 5:2 |
| იუვენტუსი-რეალი | 2:2 |
| კოპენჰაგენი-გალათასარაი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-ბენფიკა | 1:0 |
| პსჟ-ანდერლეხტი | 1:1 |
| შახტარი-ლევერკუზენი | 0:0 |
| სოსიედადი-მანჩესტერი | 0:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-მაიამი | 95:104 |
| ნიუ ორლეანი-ფინიქსი | 98:104 |
| დალასი-ლეიკერსი | 123:104 |
| დენვერი-სან ანტონიო | 94:102 |
| პორტლენდი-ჰიუსტონი | 101:116 |
| საკრამენტო-ატლანტა | 100:105 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

| | |
|---|---|
| ნადალი-ფერერი | 6:3;6:2 |
| ჯოკოვიჩი-ფედერერი | 6:4;6:7;6:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ვინ გადაარჩენს სამხატვრო აკადემიას?

ეკა ირემაშვილი

სამხატვრო აკადემიის გადარჩენისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის



სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თინათინ კლდიაშვილმა და თბილისის სამხატვრო აკადემიის გადარჩენისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტმა სოფიკო ჭყონიამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

— იმედი გვქას რომ ეს მემორანდუმი იქნება იმის დასაბამი, რომ რაც არის ჭეშმარიტი კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში, ის იქნას გადარჩენილი. ეს სახელმწიფოს უდიდესი სიმდიდრეა. მჯერა, დადგება მომენტი, როცა სახელმწიფო ასეთ მნიშვნელოვან განებობებს სათანადო ყურადღებას მიაქცევს და დაიწყებს ზომების გატარებას იმისთვის, რომ ასეთი უნიკალური შენობები შეინარჩუნოს და რეაბილიტაცია ჩაუტაროს, — აღნიშნა სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თინათინ კლდიაშვილმა.

კულტურის სამინისტროს, სამხატვრო აკადემიასა და ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზანია თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობის გადარჩენა-რეაბილიტაცია და აკადემიის უძველესი ტრადიციების აღორძინება. როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, შენობის რეაბილიტაციისთვის, კულტურის სამინისტრო სპეციალისტებს ირანიდან ჩამოიყვანს.

თანამშრომლობა გულისხმობს ერთობლივ მუშაობას ყველა მიმართულებით, მათ შორის რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მოპოვებას, როგორც სახელმწიფო ანუ საბიუჯეტო, ასევე კერძო წყაროებიდან, ასევე მემორანდუმის მიზნების განხორციელებისათვის პროექტებისა და წინადადებების კოორდინირებულ მომზადებას.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ გაიმართა თბილისის სამხატვრო აკადემიის გადარჩენისა და აღორძინების ფონდის პრეზენტაცია, რომელიც დიზაინერ სოფიკო ჭყონიას ინიციატივით დაფუძნდა; მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა სამხატვრო აკადემიის ფონდში დაცული ექსპონატები; ნაჩვენები იქნა დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ამავე შენობის ფოტოები — XIX საუკუნის სასახლე, სადაც იმ პერიოდში საარტისტო წრე ფუნქციონირებდა. დამთვალიერებელმა იხილა თითქმის ყველა, მათ შორის სარკეებიანი დარბაზის ფოტოებიც, რაც შენობისა და ინტერიერის პირვანდელ სახეს ასახავს.

— ამ პროექტში ჩართვა და მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამისთვის არ არის საჭირო მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების და ბიზნესმენების აქტიურობა, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შანსი ეს უნიკალური შენობა გადაარჩინოს, მათ შორის სტუდენტებსაც, თუკი ექნებათ სურვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის გადარჩენისა და აღორძინების ფონდში ნებისმიერი თანხის გადარიცხვა შეეძლებათ, — აღნიშნა ფონდის ხელმძღვანელმა სოფიკო ჭყონიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ექვსივე ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაცია, თბილისის სამხატვრო აკადემიის გადარჩენისა და აღორძინების ფონდის წევრები და მიწვეული სტუმრები.

— შესანიშნავი არქიტექტურაა, უნიკალური მოხატულობაა, ყველაფერი აქ არის უნიკალური, ასეთი სულ რამდენიმეა საქართველოში. ირანის ყოფილმა ელჩმა მითხრა, რომ ამისთანა შენობა, როგორიც აკადემიაა, მთელს ირანშიც თითო ოროლა თუ არისო. იმედი მაქვს, რომ ეს დოკუმენტი ნამდვილად შეუწყობს ხელს ამ უნიკალური შენობის გადარჩენას, — განაცხადა კულტურის მინისტრმა.

გურამ ოდიშარიამ სამინისტროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუე ბინი მიიღო. შეხვედრაზე დიპლომატმა და მინისტრმა ჩინეთსა და საქართველოში ჩატარებული კულტურის დღეები შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე, ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრეს.

# როდის დაიდგმება ოპერა ერეკლე მეფეზე?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

65 წელი მისრულდება და მინდა ეს ოპერა დაიდგას და ვნახო.

*— ვინ გბლოკავდათ?*

— წინა ხელისუფლება. ამას არ ვმალავ. როცა ოპერის განხორციელებაზე მქონდა თანხმობა კომპოზიტორთა კავშირიდან, კონსერვატორიიდან და ოპერის თეატრიდან, მინდოდა ამ დოკუმენტაციის წარდგენა კულტურის სამინისტროში და თელავიდან მჭირდებოდა მხარდაჭერა. იქაურმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა გივი მეტრეველმა მითხრა, ოპერა არ ვიცი რა არის, მშენებელი კაცი ვარ, არ გიცნობ, ამიტომ ვინმემ მომწეროს, რომ მხარდაჭერა აღმოგიჩინო, თორემ ისე ამას პოლიტიკური სუნი ასდისო. მჯერა, რომ ის აუცილებლად ნაციონალი გამგებელი იქნებოდა. ჩემი ოპერა 7 წელი თაროზე იდო და მინდა ეს მოულოდნელობა და გაურკვევლობა ახლა მაინც დასრულდეს.

*— კულტურის სამინისტროდან პასუხს როდის გეტყვიან?*

— არ ვიცი, ორი თვე უკვე გასულია. როცა ჩემმა მეგობრებმა დარეკეს და სიტუაციაში გარკვევა გადაწყვიტეს, ასეთი პასუხი იყო: ჯერ რაც დაწყებულია, იმ პროექტების დასრულება მოხდება და არჩევნების მერეო. არჩევნებმაც ჩაიარა, პროექტი თუ დასამთავრებელია, იმას დრო დასჭირდება და ჩემი ოპერა უკვე დამთავრებულია. არანჟირებები, მუსიკა, ჩაწერა, ვოკალის ჩაწერა, ყველაფერი გაკეთებულია. თვეობით ვიჯექი ხმის ჩამწერ სტუდია „ლაივ რეკორდსში“. ოპერის მომღერლები სრულიად უანგაროდ მოდიოდნენ და წერდნენ პარტიებს. მათ შორის სულხან გველესიანი, ჯარჯი ასათიანი, ხათუნა ჭოხონელიძე, თამაზ საღინაძე და უამრავი ხალხი ჩაერთო ამაში ყოველგვარი ანგარების გარეშე, თუმცა არანჟირებები და ჩაწერები სერიოზული ფული დაჯდა, რაც ჩემმა მეგობრებმა გამიკეთეს, ისევე, როგორც სოლოკონცერტი ოპერის თეატრში.

*— რა დაჯდა თქვენი ოპერის ჩაწერა?*

— 24 ათასი ლარი უკვე დახარჯულია. კაცი დავბერდი და ამათგან არ მახსოვს, რამე გაეკეთებინოთ. საინფორმაციო სახის ჟურნალი გავაკეთეთ ქართულ-ინგლისურ ენაზე ამ ოპერასთან და ერეკლე მეფესთან დაკავშირებით, უმაღლესი ხარისხისაა, ყველანაირად მზად ვართ, მთავარია თანხმობა გვითხრას სამინისტრომ და მხარში დაგვიდგეს.

*— თუ გადაწყდა ამ ოპერის დადგმა, რამდენად ძვირი დაუჯდება ეს კულტურის სამინისტროს?*

— 192 ათასის ხარჯთაღრიცხვა გადავეცი, აქ არ შედის ტანსაცმელი, იმიტომ, რომ ზევრი თეატრია და იქიდან გამოვიტანთ. ოპერისთვის კოსტიუმები რომ შევკეროთ 200-300 ათასი არ ეყოფა. ამ ოპერაში მომღერლებია, გუნდებია, დირიჟორია, რეჟისორია, ორკესტრია, მთავარი მხატვარია, მათ ხომ ჰონორარი უნდათ? მომღერლები იმაზეც თანახმა არიან, რომ ისევ უსასყიდლოდ იმღერებენ, ოღონდ დაიდგას, მაგრამ მე აღარ ვარ თანახმა. მათ ნამდვილად უნდა მიიღონ თავიანთი შრომის საფასური. თუ არადა, ეს უკვე მართლა უსინდისობა იქნება.

*— სად აპირებთ ოპერის პრემიერის გამართვას?*

— თავიდან გვინდოდა მეტეხის პლატოზე და გვინდა, რომ დამსწრე საზოგადოებას ჩვენ მიერ გამოცემული კრებული დახვდეს სკამზე. ჩემთვის პრემიერის გამართვა მეტეხის პლატოზე ისევ ძალაშია, თუკი გადაწყვეტენ, რომ ეს ოპერა დაიდგას. თავიდან ერეკლეს მუზეუმის ტერიტორიაზე გვინდოდა ოპერა შეგვესრულებინა, მაგრამ იქ სერიოზული რემონტია და ვერ ხერხდება.

*— როდისთვის გსურთ საოპერო წარმოდგენის გამართვა?*

— 26 მაისისთვის ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება. ეს დღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა და ერეკლე მეფეც თავისი მოღვაწეობით იმის ღირსია, რომ ამ დღეს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ოპერის პრემიერა გაიმართოს. ის მარტო კახეთის მეფე ხომ არ იყო? ის ყველას საყვარელი მეფე იყო. ოპერაში გუნდი ძალიან ხშირად იმეორებს სიტყვებს: „დიდება მეფეს, დიდება მეფეს, არ მოგვიშალოს იმედი შენი“. ამით მინდა ერეკლეს რეაბილიტაცია მოვახდინოთ, რადგან ბოლო წლებში მისი პიროვნების აშკარად დამცირების ტენდენცია შეიმჩნეოდა. არადა, მას საკმაოდ ბედუკუღმართი ცხოვრება ჰქონდა, ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველო გადაერჩინა.

*— რამდენი ხანია, რაც ოპერაზე მუშაობა დაასრულეთ?*

— ოპერა უკვე 7 წელია დასრულებულია და ამდენი წელი თაროზე იდო. იმედი მაქვს, რომ მალე ვიხილავთ ქართლ-კახეთის მეფეს მთელი თავისი ბრწყინვალებით. როგორც გავიგე, მიშას უნდოდა ერეკლეს მეფის ძეგლის აღება და იმ ადგილის გაყიდვა. ერეკლეს საკითხი მთლიანად დღის წესრიგიდან იყო მოხსნილი. მას საერთოდ ყველანაირი იგნორი უკეთდებოდა, პირიქით, მოღალატეობასაც კი აბრალებდნენ. ოპერაზე მუშაობის ყველა ეტაპი დასრულებულია, მხოლოდ დადგმას ველოდებით. ლიბრეტოს ავტორები ზურაბ გოშაძე და ნანა ცინცაძე არიან. კულტურის სამინისტრო რომ ამბობს, დავასრულოთ პროექტებიო, ეს ცოტა მაკვირვებს. ვეღარ მივაწვდინე ხმა, რომ უკვე დამთავრებულია ჩემი ოპერა და მას ლოდინი არ სჭირდება. არც ერთ სტრუქტურას არ დავუფინანსებივარ, მთელი თანხა ჩემმა მეგობრებმა და ჩემმა ახლობლებმა დახარჯეს. მომღერლებიც ყველანაირად მზად არიან, რომ თავისი პარტიები იმღერონ.

*— რეჟისურასაც თქვენ ითავებთ?*

— არა. რეჟისორი, დირიჟორი, სიმფონიური ორკესტი, განათება, ბატალური სცენები, ცხენებით ერეკლეს შემოყვანა — ეს არის ჩემი ოპერა და ამ ყველაფერს სპეციალისტი სჭირდება. არ მაქვს არანაირი სურვილი, ეს ოპერა თეატრში დავდგა, იმდენად მასშტაბურია, ვერ დაიტევს სცენა. მინდა, რომ გარეთ დავდგა, გადავიღო და მერე ჩავიტანოთ თელავში. ასევე დიდი სურვილი მაქვს საჯარისო ნაწილებში ჩავიტანოთ, რომ პატრიოტული სულისკვეთება კიდევ უფრო ამაღლდეს. მასში ახალი საგალობელია, ახალი მრავალჟამიერია, სიყვარულის თემაც არის, მაგრამ არ ვეხები არანაირ პოლიტიკას, ამ ოპერაში ერეკლე არის წარმოჩენილი როგორც მხედართმთავარი. 107 ბრძოლიდან 105 მოგებული აქვს. ჩემმა მეგობარმა ნახა ინტერნეტში, რომ ბეთჰოვენმა მეცხრე სიმფონია მიუძღვნა ერეკლე მეორესო და ახლა ამას დოკუმენტურად ვეძებთ.

*— ბევრი კარგი მეფე გვყავდა და რატომ მოისურვეთ ოპერის დაწერა მაინცდამაინც ერეკლე მეფეზე?*

— კახელი ვარ წარმოშობით და მინდოდა ამ მეფეზე ოპერის დაწერა. შოვინიზმში ვერავინ დამადანაშაულებს, მაგრამ ერეკლე არის მეფე, რომელიც იგნორირებული იყო ბოლო წლებში იმის გამო, რომ ტრაქტატს ხელი მოაწერა, რაც არ არის მართალი. ერეკლე რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მართლმადიდებლობას ვერ შევინარჩუნებდით და მისი გადარჩენილები ვართ.

*— სხვა ნაწარმოებებზე მუშაობთ?*

— არაფერზე არ ვმუშაობ, მარტო ამ ოპერაზე ვარ კონცენტრირებული. ესტრადაში დავამთავრე მუშაობა და გამოვუშვი კიდეც ოთხდისკიანი ალბომი, რომელმაც მთელი ჩემი შემოქმედების საუკეთესო ნამუშევრები გააერთიანა. მასში 4 დისკია, პირველში 10 ქალაქური სიმღერაა, მეორეში — 14 სიმღერა ჩემი ჰიტებია, მესამეში — 2 საათიანი ფილმი ჩემს შესახებ და მეოთხეში — ოპერის კონცერტის ჩანაწერი. ეს ალბომი სანომ გამოუშვა და დიდი მადლობა მას ამისთვის.

# მოზარდმაყურებელთა თეატრში პრემიერაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პრემიერის წარმოდგენას ვაპირებთ.

*— პროკოფიევის ოპერას როდის გამოუშვებთ?*

— ოპერა ჩაშვებული გვაქვს, მაგრამ მანდ სერიოზული საფინანსო საკითხია. ალბათ იანვრიდან მოხდება მისი დაფინანსება. საოპერო თემატიკა ჩვენს თეატრში საკმაოდ აქტუალურია. „სევილიელი დალაქი“ დავასრულეთ და ვთამაშობთ კიდეც.

*— „რომეო და ჯულიეტა“?*

— „რომეო და ჯულიეტა“ რეპეტიციების პროცესშია, მას ლევან წულაძე დგამს და მისი პრემიერა იქნება იანვრის ბოლოს.

*— კიდევ რა სიახლეები გაქვთ?*

— 24-ში მცირე დარბაზში გვაქვს პრემიერა „კლოუნადა“ და 30-ში „ფიფქია და 7 ჯუჯა“ დიდ დარბაზში. 20 დეკემბერს „იავნანამ რა ჰქმნა“ დიდ დარბაზში და მერე უკვე საახალწლო სპექტაკლები.

*— გასტროლზე როდის მიდიხართ?*

— სამშაბათს ღამით მივფრინავთ პეტერბურგში გასტროლზე და მიგვაქვს „დეჟავიუ“. ეს არის სპექტაკლი უფროსი ასაკის მაყურებლისთვის და მისი რეჟისორია ხათუნა მილორავა. სპექტაკლში მონაწილეობენ ნინო ლეჟავა და კოტე თოლორდავა. ბაღის სკამზე ერთმანეთს ხვდება ორი მარტოხელა ადამიანი. აღმოჩნდება, რომ ეს მათი პირველი და შემთხვევითი შეხვედრა არ არის. მაყურებლის თვალწინ იშლება რუსი ვერას და ქართველი კონსტანტინეს რთული, დრამატული და ამავე დროს, კომიკური სიყვარულის და სიძულვილის, უნდობლობისა და ტყუილის, ეჭვიანობისა და მიმტევებლობის განცდა. არ ვიცით კიდევ როდის და როგორ შეხვდებიან ვერა და კონსტანტინე და როდის გააცნობიერებენ, რომ ღმერთმა ისინი ერთმანეთის გადასარჩენად გააჩინა.

ეკა ირემაშვილი

# რუსული კინოს ფესტივალი ოთარ მელვინეთუხუცესს ექძღვნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— წლევანდელ კინოფესტივალზე აქცენტი ახალგაზრდულ კინოზე კეთდება და რუსული კინოს გარდა პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების ფილმებსაც აჩვენებენ. ჩვენებები კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართება და ბილეთები 3 ლარად გაიყიდება. ჩვენი ფესტივალის მიზანია პროფესიულ-შემოქმედებითი კავშირების განვითარება და პირადი მეგობრული ურთიერთობების აღდგენა და შემდგომი განვითარება. ღონისძიება მიზნად ისახავს, კიდევ ერთხელ აჩვენოს ის ფართო შესაძლებლობები, რასაც ზოგადად ემსახურება ხელოვნებისა და კულტურათაშორის დიალოგი.

ფესტივალის ფარგლებში 7 ნოემბერს დაგეგმილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კინოსა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების შეხვედრა კინოპროდიუსერ არტიომ ვასილიევთან და მისი სემინარის „კინოსა და რეკლამის შეხვედრა“ მოსმენა.

— ამ სემინარზე არტიომ ვასილიევი კინოინდუსტრიის ხერხების მარკეტინგული კომუნიკაციების კუთხით გამოყენების თაობაზე ისაუბრებს. ნამდვილად მნიშვნელოვანია ქართულ-რუსული ინდუსტრიული ფორუმი, რომლის ფარგლებში რუსი კინემატოგრაფისტები და ქართველი პროდიუსერები, ასევე დამწყები კინომოღვაწეები შეძლებენ საერთო პლატფორმის ჩამოყალიბებას. მოგეხსენებათ, ფორუმი არის პირველი ნაბიჯი, ეს არის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. ამ ფორუმის მიზანი არის შეისწავლოს საქართველოს პოტენციალი. ინდუსტრიული ფორუმის ფარგლებში შესაძლოა ახალ კინოპროექტზეც დაიწყოს მუშაობა.

წელს კინოფესტივალის მონაწილეთა შორის არიან ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები და კრიტიკოსები, მათ შორის, დიმიტრი ასტრახანი, ანდრეი და ავდოტია სმირნოვები, ვალერი ტადაროვსკი, იური კალაკონიკოვი და სხვები. სპეციალური სტუმრის სტატუსით, ფესტივალს დაესწრება ანდრეი ტარკოვსკის შვილი, ალექსეი ტარკოვსკი. ჩამოსული სტუმრების მხრიდან ფესტივალს წარდგენის სურვილი გამოთქვეს ანდრეი სმირნოვმა, არტიომ ვასილიევმა, ნიკიტა ეფრემოვმა, ვიაჩესლავ შმიროვმა, ავდოტია სმირნოვამ და ევგენი გინდილისმა.

ფესტივალის ფარგლებში პირველად გაიმართება „ინდუსტრიული ფორუმი“, რომელიც ემსახურება ქართველ და რუს კოლეგებს რეჟისორებს, პროდიუსერებს, სცენარის ავტორებს შორის ხელსაყრელი კონტაქტების დამყარებას და სასარგებლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლას.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 2. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 3. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი, კუზიანი კურდღელი; 4. ფულის ერთეული პაკისტანში; 5. დაღესტნელთა ძველი ქართული სახელწოდება; 6. პირველი კოსმონავტი; 8. ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ძველი გერმანელი ტომები, რომლებიც არბევდნენ ევროპის ქვეყნებს; 14. ნარკოტიკების წვრილმანი გამსაღებელი აშშ-ში; 15. ფრანგი მექანიკოსი, საქსოვი მანქანის გამომგონებელი; 16. რომაელი პოეტი „ღვთაებრივი კომედია“-ს ავტორი.

**თარაზულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეირი; 7. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ტროპიკული ხილი; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 17. ირანის პრეზიდენტი; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. საკუთარი საქციელის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 20. წვრილი ოქროს ჯაჭვი

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ჯუსი; 2. ჯანღი; 3. კაისა; 5. სულორი; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. როზარიუმი; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. არღანი; 18. „ანსა“.

**თარაზულად**: 1. ჯორჯია; 4. „მისტრალი“; 7. ანჯამა; 8. სექტორი; 12. „ოტელო“; 13. გურონია; 15. შანიძე; 17. „ალი“; 19. ალექსანდრია; 20. ცირკი; 21. ქაშაყი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. „ფინო“; 2. როვნო; 3. აბული; 4. „ვალიო“; 5. ლეკალო; 6. ნიჟარაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მორალი; 15. ლადარი; 16. კამიუ.

**თარაზულად**: 1. ფსირცხვა; 4. ვალტორნა; 7. ნაძვი; 9. ბინგო; 12. „ტოშიბა“; 13. წვიმა; 14. მაგატე; 17. ლიძავა; 18. მეგალომანია; 19. „დარნიცა“; 20. გუბაზი.

# ნიუ-იორკის მერად ბილ დე ბლაზიო აირჩიეს




ნიუ-იორკის მერის არჩევნებში გამარჯვება 1993 წლის შემდეგ, პირველად „დემოკრატების" კანდიდატმა მოიპოვა. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, „დემოკრატმა" ბილ დე ბლაზიომ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მთავარ მეტოქე, „რესპუბლიკელ" ჯოზეფ ლოტაზე.

„ბიბისის" ცნობით, 52 წლის ბლაზიოს ამომრჩეველთა 73%-მა დაუჭირა მხარი, „რესპუბლიკელების" კანდიდატს კი ხმების 24% ერგო.

„არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ ამერიკის უდიდესმა ქალაქმა პროგრესული გზა აირჩია", – განაცხადა ქალაქის ახალარჩეულმა მერმა.

ნიუ-იორკის რიგით 109-ე მერის, ბილ დე ბლაზიოს ინაუგურაცია 2014 წლის 1 იანვარს გაიმართება. ამ პოსტზე ის მაიკლ ბლუმბერგს ჩაანაცვლებს, რომელიც 12 წლის განმავლობაში, ზედიზედ სამი ვადით იყო ნიუ-იორკის მერი.

მერებისა და გუბერნატორების არჩევნები ამერიკის რამდენიმე შტატსა და ქალაქში გაიმართა. ადგილობრივი პრესა ამ არჩევნებს ბარაკ ობამას ხელახლა გაპრეზიდენტების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან არჩევნებად აფასებს.

„სი-ენ-ენის" ინფორმაციით, ვირჯინიის გუბერნატორი დემოკრატი ტერი მაკოლიფი ხდება, რომელმაც რესპუბლიკელი შტატის გენერალური პროკურორი კენ კუჩინელი დაამარცხა.

# ისრაელმა პალესტინელებს „საზღვრის" თავისი ვერსია შესთავაზა

ისრაელის წარმომადგენლებმა პალესტინელებთან მოლაპარაკებებზე განაცხადეს, რომ მომავალი პალესტიკური სახელმწიფოს საზღვარმა უნდა გაიაროს იმ კედელზე, რომელიც ამჟამად არაბულ დასახლებების ებრაულისგან ყოფს. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს პრესი" ავრცელებს.

ეს ინფორმაცია, რეგიონში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე გაჩნდა, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, კონფლიქტის დარეგულირების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას.



ამავე დროს, მოლაპარაკებებზე პალესტინური მხარის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი სახელმწიფოს საზღვარმა ე.წ. მწვანე ზოლზე უნდა გაიაროს ანუ ისრაელ-იორდანიის 1976 წლის საზღვარზე. ისრაელი მათ აქამდე პასუხობდა, რომ ეს შეუძლებელია, თუმცა სავარაუდო საზღვრის თავის ვერსიას არ ასახელებდა.

პალესატინელები უარს აცხადებენ ამ კედლის მიღებაზე, რომელსაც ისინი „აპარტეიდის უკანონო კედელს" უწოდებენ. მათივე თქმით, ეს კედელი 1967 წლის საზღვრის მიხედვით 85 % -ით მათი მიწების შიგნითაა შეწეული.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი იმედოვნებს, რომ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი დაიძვრება. ჯონ კერი შეხვდება ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს, ვიდრე გაემგზავრება დასავლეთ ნაპირზე პალესტინის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასთან შესახვედრად. სამშაბათს ღამით თელავივში ჩასვლისას ჯონ კერიმ განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები გართულდა, თუმცა, ჯერ კიდევ შესაძლებელია გარკვეული შეთანხმების მიღწევა.

# ასადის არმია იერიშზე გადავიდა

ასადის არმია იერიშზე გადავიდა და ქალაქ ალეპოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ლირამუნის რაიონში სასტიკი ბრძოლა გააჩაღა. ინფორმაციას ამის შესახებ არაბული ტელეარხები ავრცელებენ.

ტელეარხ „ალ-მაიადინის" ინფორმაციით ალეპოსთან მიმდინარე ბრძოლებში სურათი ყოველდღიურად იცვლება. ვრცელდება სევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალეპოს სიახლოვეს მიმდინარე ბრძოლებში მოკლულია ოპოზიციის ერთ ერთი საველე მეთაური , დაჯგუფება „ლევანტისა და ერაყის ისლამური სახელმწიფოს" ლიდერი და მასთან ერთად 300 მებრძოლი.

ამასთან ერთად, სირიის სამთავრობო ძალები ოპოზიციას დამასკოს ჩრდილო-დასავლეთითაც უტევენ.

როგორც „სი-ენ-ენისთვის" გახდა ცნობილი, დაზვერვის ახალი ცნობებიდან ირკვევა, რომ სირიის მთავრობას მისი ქიმიური იარაღის სრული მარაგის შესახებ, შესაძლოა, არ გამოუცხადებია. ეს კი ნიშნავს, რომ ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ მიღწეული შეთანხმების შესრულების შემდეგაც სირიის მთავრობას, შესაძლოა, კიდევ დარჩეს ამ იარაღის მარაგი.

ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, არსებული ინფორმაცია საბოლოოდ დადასტურებული არ არის, თუმცა არსებობს ცნობები, რის შემდეგაც „ჩვენ სირიის ქიმიური იარაღის მარაგის შესახებ დარწმუნებულები ველარ ვართ".



„სი-ენ-ენის" ცნობით, დაზვერვის ამ ცნობებს უკვე განიხილავს თეთრი სახლი, თავდაცვის დეპარტამენტი და სახელმწიფო დეპარტამენტი. შეგახსენებთ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად, სირიას ქიმიური იარაღი 2014 წლის შუა პერიოდისათვის უკვე განადგურებული უნდა ჰქონდეს.

ამ ფონზე, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი იმედს გამოთქვამს, რომ სირიის სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩატარდება, მიუხედავად იმისა, რომ სირიის მთავრობა ოპოციზიციის მოთხოვნას ბაშარ ალ ასადის მოლაპარაკებებზე დასწრებასთან დაკავშირებით, არ ეთანხმება.

ვარშავაში ჟურნალისტებთან შეხვედრისას ჯონ კერიმ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სირიის კრიზისთან დაკავშირებით არანაირი სამხედრო გადაწყვეტილება არ არსებობს და იმედი გამოთქვა, რომ სირიის მთავრობა საკუთარ დანაპირებს შეასრულებს.

„იმედი მაქვს, რომ სირიის მთავრობა და მისი მხარდამჭერი ქვეყნები: რუსეთი და ირანი საკუთარ ვალდებულებას შეასრულებენ და ჟენევაში სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ჩავლენ",-განაცხადა ჯონ კერიმ.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადებით, ჟენევის მოლაპარაკებების მიზანია, ორივე მხარემ დროებითი მთავრობის შექმნას დაუჭიროს მხარი, რაც საშუალებას მისცემს სირიელ ხალხს საკუთარ მომავალზე თავად იზრუნოს.

# გარი კასპაროვმა ლატვიას მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით მიმართა



შესაბამისი განცხადება რუსმა ოპოზიციონერმა და მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ლატვიის სეიმს გაუგზავნა. ლატვიელი დეპუტატების განცხადებით, კასპაროვმა მოქალაქეობა განსაკუთრებული მიღწევების საბაბით მოითხოვა და აღნიშნა, რომ რუსეთის მოქალაქეობის შენარჩუნებაც სურს.

სეიმი მოჭადრაკის თხოვნას უახლოეს მომავალში განიხილავს, მაგრამ როგორც პარლამენტარი ლატკოვსკისი აღნიშნავს, კასპაროვისათვის მოქალაქეობის მინიჭებისათვის საკმარისი საფუძველი არ არსებობს. თავად კასპაროვი ინფორმაციის შესახებ კომენტარს არ აკეთებს.

კასპაროვი, რომელმაც რუსეთში 2005 წელს დააარსა „ერთიანი სამოქალაქო ფრონტი", წელს ივნისში გაემგზავრა უცხოეთში და განაცხადა, რომ ახლო მომავალში არ აპირებს რუსეთში დაბრუნებას, რადგან ის საგამოძიებო კომიტეტში გამოიძახეს.

# ერთსქესიანთა ქორწინება ილინოისშიც დაკანონდა

კათოლიკური და პროტესტანტური ეკლესიების წინააღმდეგობის მიუხედავად, ამერიკის შტატ ილიონისის გენერალური ასამბლეის ქვედა პალატამ ერთქსიანთა ქორწინების ლეგალიზებას დაუჭირა მხარი.

ილიონისი ამერიკის მე-15 შტატი გახდა, რომელმაც ეს კანონი მიიღო. დოკუმენტს 61-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი გამოვიდა-54 სენატორი. შტატის სენატმა ეს კანონმდებლობა თებერვალში მოიწონა. ახლა კანონი ხელმოსაწერად გუბერნატორ პატრიკ ქუინთან გაიგზავნა.

2001 წელს ნიდერლანდი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ერთ-სქესიან წყვილებს დაქორწინების იურიდიული შესაძლებლობა შეექმნათ. მას მერე ასეთი ქორწინებები თოთხმეტმა სხვა ქვეყანამ დააკანონა. ერთსქესიან წყვილთა ქორწინება ასევე ნებადართულია მეხიკოში და აშშ-ის 15 შტატში.




ერთი სქესის წყვილებს სამოქალაქო კავშირის, მაგრამ არა ქორწინების, უფლება აქვთ 20-ზე მეტ ქვეყანაში. ამასთან, ისრაელი ცნობს სხვა იურისდიქციების მიერ ლეგალიზებულ ერთი სქესის ქორწინებებს, თუმცა თვითონ ის ასეთ ქორწინებებს არ ანხორციელებს. ამჟამად პოლიტიკური და იურიდიული დებატები მიმდინარეობს ოცამდე სხვა ქვეყანაში და რამდენიმე აშშ-ის შტატში ამ სახის ქორწინებების ლეგალიზებაზე.

ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი ასრულებს ერთი სქესის წყვილთა ქორწინების რიტუალებს, მათ შორის კვაკერები.

ერთი სქესის წყვილთა ქორწინების მომხრეთა მტკიცებით, სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, ქორწინება ადამიანის უფლებაა. მათი მოწინააღმდეგეები საკუთარ არგუმენტებს ამგვარი ქორინებების სოციალურ შედეგებზე ამყარებენ (მათ შორის ბავშვების აღზრდა, ტრადიციები და რელიგიური მოსაზრებები).

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# შსს-მ ბიომარიხუანის გამოსავლენი ტესტები შეიძინა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს ეწვია. მინისტრმა სამმართველოს უფროს ნუგზარ სუჯაშვილთან და აშშ-ს საელჩოს უფროს მრჩეველთან პოლიციის საკითხებში მაიკლ ტერნერთან ერთად ტერიტორია დაათვალიერა და სიახლეებს გაეცნო. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში რებრენდინგი განხორციელდა, სამმართველოს „შკოდას" და „ტოიოტა ჰაილუქსის" მარკის 13 ახალი ავტომანქანა გადაეცა. ექსპერტ-კრიმინალისტებმა ახალი დიზაინის ფორმები, ჩანთები და მუშაობისთვის საჭირო სპეციალური ხელსაწყოები მიიღეს. სამმართველოს, ასევე, 90 ახალი კომპიუტერი, ფოტო და ვიდეოაპარატურა გადაეცა. ფონოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზისთვის შეძენილია სპეცკომპიუტერები და ახალი პროგრამები.

გარდა ამისა, შეიქმნა კომპიუტერული ექსპერტიზის განყოფილება, რომელიც ციფრულ დანაშაულს გამოავლენს. დაინერგა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა (პიროვნების სახით ამოცნობა). ასევე შეძენილია ახალი დაქტილოსკოპიური სკანერები, რომლითაც შესაძლებელია არამარტო თითის, არამედ მთლიანად ხელის ანაბეჭდის აღება; ავტომატიზირებული ფოტოპანორამული აპარატები, რომლის მეშვეობით შემთხვევის ადგილზე პანორამული გადაღება ავტომატურად ხდება.

ე. წ. ბიომარიხუანას გამოსავლენად, სწრაფი ტესტები და ნარკოტიკის რაოდენობის განსაზღვრისათვის სტანდარტული ნიმუშებიც შეიძინეს. გარდა ამისა, ცენტრალური ექსპერტიზის სამმართველოსთვის ბოლო თაობის აპარატურა (გაზური და სითხური ქრომატომასპექტრომეტრები) იქნა ნაყიდი, რომელიც ნარკოტიკულ, ასაფეთქებელ, მომწამლავ და სხვა ნივთიერებებს იკვლევს. ერთი ასეთი აპარატი სამმართველოს აშშ-ს საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიურომ საჩუქრად გადასცა.

აეროპორტში დაქტილოსკოპიური სკანერი და ჰაბიტოსკოპიური პროგრამა დამონტაჟდა, რომლის საშუალებით დეპორტირებულ პირების შემოწმება საზღვარზე გადასვლის გარეშე ხდება.

პოლიციის საკითხებში აშშ-ს საელჩოს მრჩევლის მაიკლ ტერნერის შეფასებით, ბოლო ოთხი წლის მანძილზე კრიმინალისტურმა ლაბორატორიამ დიდ პროგრესს მიაღწია. ახლო მომავალში კი, მისი საერთაშორისო სერტიფიცირება მოხდება.

„მოხდა ლაბორატორიის განახლება და პროცედურების დახვეწა ქართული მხარის ინიციატივით და ამერიკის მცირედი დახმარებით. მეამაყება მათი მიღწევების და ვფიქრობ რომ მალე ეს ლაბორატორია საერთაშორისო აღიარებას მიაღწევს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დანაშაულის გახსნის მაჩვენებლებმა მნიშვნელოვნად იმატა. ჩვენ ახლა ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვხსნით დანაშაულს, რაც კრიმინალისტების მიერ მოპოვებული ნივთმტკიცებებით მყარდება. აქ წარმოდგენილი აღჭურვილობა საშუალებას იძლევა უფრო ჩაუღრმავდე დეტალებს და მიკროსკოპულად დააკვირდე წარდგენილ ნივთმტკიცებებს, რაზეც 10-15 წლის წინ ხელი არ მიგვიწვდებოდა. მაგალითისთვის მოვიყვან თმის ღერის გამოკვლევას, რამაც შესაძლოა დამნაშავის „დნმ"-მდე მიგვიყვანოს. ეს კი, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ დამნაშავე ერთი ღერი თმის საფუძველზე, რაც მიკროსკოპულ ნივთმტკიცებას წარმოადგენს – განაცხადა მაიკლ ტერნერმა. საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსის ნუგზარ სუჯაშვილის განცხადებით, სამმართველოში ბევრი სიახლე დაინერგა. მან ამერიკის „აინელ" პროგრამის ხელმძღვანელს აარონ ფიშმანს და მაიკლ ტერნერს მადლობა გადაუხადა. ამასთან, ექპერტ-კრიმინალისტებმა და კინოლოგებმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აშშ-სა და თურქეთში ტრენინგები გაიარეს.

**ნიუსპრესი**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 7 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით**" (პ.რიშარი) **17.00** დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ/ფ "**300**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ვენა" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) **01.00** ELITE MODEL LOOK GEORGIA 2013 – დღიური **01.15** მხ/ფ "**შავი ორქიდეა**" (ს.იოჰანსონი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ფილატელისტის სიკვდილი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **11.20** ჩვენი ფონდი **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მონანიება**" I ნაწ. **13.25** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" 9 სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -ლილიკო ნემსაძე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მონანიება**" II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** "ზღვარზე" გად. IV **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ძმა**" **02.10** ნიამორი

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6715 | ევრო — 2,2572 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6679 | 100 რუსული რუბლი — 5,1941 |

## ამინდის პროგნოზი 7 ნოემბრისთვის




# მალე!

## ქართული დეტექტივი

### ტომი 3

## იორამ ჩადუნელი

# საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.




რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

### უკვე გამოსულია

ტომი 1 .................................... მგლის ბილიკი
ტომი 2 .................................... შავი ვარდი

# რუსული კინოს ფესტივალი ოთარ მეღვინეთუხუცესს ეძღვნება



**თბილისში რუსული კინოს მეოთხე ფესტივალი გაიხსნა და ეს პატივი წილად ხვდა ფილმს „ფაჩაჯანოვი". წელს ფესტივალი მთლიანად ქართული თეატრისა და კინოს მსახიობის ოთარ მეღვინეთუხუცესის ხსოვნას ეძღვნება.**

რუსული კინოს ფესტივალს წინა წლებში ყოველთვის ახლდა ქართული საზოგადოების ვნებათაღელვა, ისინი აპროტესტებდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს დედაქალაქი რუსული კინოს ფესტივალს მასპინძლობდა, თუმცა წელს არანაირი საპროტესტო აქციები ამ საკითხთან დაკავშირებით აღარ გამართულა.

ფესტივალის ეგიდით ფილმების ჩვენება 10 ნოემბრამდე გასტანს, ფესტივალი კი ოფიციალურად 11 ნოემბერს დაიხურება. სწორედ დახურვის ცერემონიალზე გახდება ცნობილი, თუ ვინ მიიღებს წელს სოფიკო ჭიაურელის სახელობის პრიზს კინემატოგრაფში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ფესტივალი თბილისში ხელოვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდის და საპროდიუსერო ცენტრ „კინოპროცესის" ორგანიზებით ჩატარდება. ის მიზნად ისახავს კიდევ ერთხელ აჩვენოს ფართო შესაძლებლობები, რასაც ზოგადად ემსახურება ხელოვნებისა და კულტურათაშორის დიალოგი. ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორი კონსტანტინე ლუზინიან-რიჟინაშვილი. ფესტივალის პრეზიდენტი კი ცნობილი რუსი კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვია.

ხელოვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდი განმარტავს, რომ ფესტივალის პროგრამაშია რუსული კინოინდუსტრიის უახლესი ნამუშევრები. მაყურებელს საშუალება ექნება გაეცნოს მხატვრულ, დოკუმენტურ და ექსპერიმენტულ ფილმებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდა კინორეჟისორთა შემოქმედებას, ასევე ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების სერიას. წლევანდელი საფესტივალო განრიგი ტრადიციისამებრ ითვალისწინებს რუბრიკას „რეტროსპექტივა", რომელიც ამჯერად წარმოდგენილი იქნება მამა-შვილის, ანდრეი და ავდოტია სმირნოვების ფილმებით. სპეციალური კინოჩვენება მიეძღვნება ქართველი მსახიობის, ოთარ მეღვინეთუხუცესის ხსოვნას. ნაჩვენები იქნება დიმიტრი ასტრახანის ფილმი „განვედ!"

როგორც ფესტივალთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე მისმა დირექტორმა მაკო ჯაოშვილმა აღნიშნა:

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ოლიმპიური კომიტეტის განცხადება დოპინგთან დაკავშირებით

სპორტში დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები უაღრესად აქტუალურია და საერთაშორისო სპორტული საზოგადოების მუდმივ ყურადღებას იპყრობს. განსაკუთრებით სამწუხარო და საგანგაშოა, რომ ბოლო პერიოდში გამოვლინდა და დადასტურდა საქართველოს სპორტსმენების მიერ აკრძალული სამედიცინო პრეპარატების გამოყენების არაერთი შემთხვევა. მაგალითად, 2011-12 წლებში ჩვენს 9 სპორტსმენს დაუდგინდა დოპინგის მიღების ფაქტი და დაეკისრა შესაბამისი სანქცია. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ამ ამბავს საგანგებო პრესკონფერენციით და განცხადებით გამოეხმაურა. ამასთანავე, როგორც წინა წლებში, ჩვენ ამჯერადაც მივიღეთ დამატებითი პრევენციული ზომები – საქართველოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან ერთად მოვაწყვეთ სპეციალური სემინარი, შესაბამისი მითითებები




და კონსულტაციები მიეცათ სპორტული გუნდების ექიმებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს, სპორტული ფედერაციების მესვეურებს.

მიუხედავად ამისა, ამ დღეებში კიდევ ერთი შემაშფოთებელი ამბის მომსწრენი გავხდით: ამჯერად დოპინგსკანდალში გაეხვნენ საქართველოს ძალოსანთა ეროვნული ნაკრების წევრები, რომელთა დოპინგ-ტესტებმა დადებითი შედეგი აჩვენა, ჩვენი ნაკრები კი მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატს გამოეთიშა. ამას, სავარაუდოდ, მოჰყვება ორწლიანი დისკვალიფიკაცია და სოლიდური ფინანსური ჯარიმა. ცალკეული პირების დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით, მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ჩვენი ძალოსნობის მომავალი, სერიოზული ზიანი მიადგა მთლიანად ქართული სპორტის პრესტიჟს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას, საქართველოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან ერთად, უმოკლეს ვადაში დეტალურად გამოიკვლიოს დოპინგის მიღების საქმის ყველა გარემოება და გამოავლინოს კონკრეტული დამნაშავეები.

აქვე კიდევ ერთხელ მივმართავთ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს, მწვრთნელებს, ექიმებს გაატარონ ქმედითი პრევენციული ღონისძიებები, გააძლიერონ კონტროლი, მკაცრად დაიცვან მსოფლიოს ანტიდოპინგური კოდექსის მოთხოვნები, რათა მომავალში გამოირიცხოს მსგავსი ინციდენტები.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ყველამ გაითვალისწინეთ!

# ასტროპროგნოზი

### 7 ნოემბრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს ელოდით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, საქმე წინ მიდის. **კირჩხიბი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, გიხარიათ. **ლომი** — ფულს შოულობთ, ეს მალე მოხდება. **ქალწული** — სახლში კარგი ამბებია, ფულიც გაქვთ. **სასწორი** — ნურავის ენდობით, მხოლოდ საკუთარ თავს. **ღრიანკალი** — ყველაფერს მოევლება, მთავარია, მოინდომოთ. **მშვილდოსანი** — მოერიდეთ აზარტულ თამაშებს, მაგის დრო არ არის. **თხის რქა** — დაისვენეთ და გაერთეთ. **მერწყული** — ახალი პროექტი მოგწონთ, კიდევ გამოჩნდება რაღაც ახალი. **თევზები** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად;** 1. ძველებური, დეპეშების მიმღებ-გადამცემი სატელეგრაფო აპარატი; 2. სამონასტრო კომპლექსი ოჩამჩირეს რაიონში; 3. ორსართულიანი ლაზური სახლი; 5. წყალგარეული ღვინო; 6. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 9. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 10. ეკლესიის მნათეს ძველი სახელწოდება; 11. მრავალცოლიანობა; 14. ბილიარდის სათამაშო სპეციალური ჯოხი; 16. კროსვორდის გამომგონებელი; 18. კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 1. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, დიპლომატი; 4. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 7. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 8. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება; 15. ცხარე საწებელა; 17. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 19. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 20. საჭმელი სოკო; 21. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ნორვეგიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# მოზარდმაყურებელთა თეატრში პრემიერაა

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში პრემიერაა. 7 ნოემბერს რეჟისორი ლევან ქობლიანიძე წარმოადგენს სპექტაკლს „ემილის თავგადასავალი", რომელიც ერთმოქმედებიანია. წარმოდგენა რეჟისორმა ასტრიდ




ლინდგრენის მოთხრობის „ლიონებერგელი ემილის თავგადასავალი" მიხედვით დადგა. ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობის თარგმანი ჯენეტ ბაჯელიძეს ეკუთვნის, ინსცენირების ავტორები დოდო ხურცილავა და ლევან ქობლიანიძე არიან, დამდგმელი რეჟისორი ლევან ქობლიანიძე, მხატვარი თეო კვიწინაძე, ქორეოგრაფი ანანო სამსონაძე, მუსიკალური გაფორმება ლევან ქობლიანიძის და ალექსანდრა ლორთქიფანიძისა. სპექტაკლში მონაწილეობენ სოფიო ახუაშვილი, დიმიტრი თარბაია, შალვა ანთელავა, თამარ ჭანუყვაძე, თორნიკე ქინქლაძე, ხატია მელქაძე, ირინე კუკულაძე, ცოტნე საგინაძე, ალექს ლობოვი, ვასილ ამურველაშვილი, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მაკა ბარდაველიძე, ნინო შუშიაშვილი, ქეთევან შერვაშიძე, ნანა მირიანაშვილი. სპექტაკლი განხორციელდა თბილისის მერის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

— ცნობილი შვედი საბავშვო მწერლის ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებები მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ მხრივ გამონაკლისს არც „ემილის თავგადასავალი" წარმოადგენს. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ელემენტებით გაჯერებული წარმოდგენა პატარა ემილის თავგადასავალზე მოგვითხრობს. ბიჭის, რომელიც სიცელქით მოსვენებას არ აძლევს გარშემომყოფებს. მოუსვენრობის მიღმა იმალება ემილის მთავარი ღირსება, სიკეთის კეთების სურვილი, რაც გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების დახმარებით გამოიხატება. ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში ასტრიდი წერს, რომ იზრდებოდა ცხენის და კაბრიოლეტის ხანაში. გადაადგილების მთავარი საშუალება ცხენოსანი ეკიპაჟი იყო, ცხოვრების ტემპი უფრო ნელი იყო, გასართობი საშუალებები — უბრალო, ხოლო ურთიერთობა ბუნებასთან — უფრო მეტი, ვიდრე დღეს. ასეთი გარემო მომავალ მწერალს ბუნებისადმი სიყვარულს უნერგავდა. მისი წიგნების უმრავლესობას ეს თემა მისდევს, — ამბობენ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში.

სპეციალურად რეჟისორ ლევან ქობლიანიძის სპექტაკლისთვის შეიქმნა ორიგინალური დეკორაცია და კოსტიუმები, აიგო ორიგინალური ზომის მოძრავი ცხენი, რომელიც სპექტაკლის მსვლელობის განმავლობაში იმოძრავებს.

როგორც მოზარდმაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმა ხვითისიაშვილმა განაცხადა, წლის ბოლომდე თეატრი კიდევ რამდენიმე პრემიერის თამაშს გეგმავს და ეს ტემპი არც ახალი წლიდან დავარდება:

**დიმა ხვითისიაშვილი:**

— ჩვენს თეატრში საკმაოდ აქტიური შემოქმედებითი პროცესებია. რეჟისორმა ლევან ქობლიანიძემ დაასრულა მუშაობა სპექტაკლზე „ემილის თავგადასავალი", რომელიც ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების მიხედვით დაიდგა. ჩვენ ამ თეატრალურ სეზონზე კიდევ არაერთი

გაგრძელება მე-10 გვერდზე